ვერსია

№13 (1703) 22 — 28 მაისი ოთხშაბათი 2024 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

ძმამ დას ჯერ ავტომობილი დააჯახა, შემდეგ კი ცივი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა

დამოუკიდებლობის 106-წლიანი გაკვეთილები

როგორ იქცა 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

დარღვევები შიდასახელმწიფოებრივი გზების მშენებლობაში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

პრეზიდენტის დაღუპვა — რა შეიცვლება ირანისა და მსოფლიო პოლიტიკაში

ვინ იყო ებრაჰიმ რაისი და ვინ გახდება ირანის ახალი პრეზიდენტი

პოლიციამ ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების ბრალდებით, ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.მ. ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 19 მაისს, თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ყოფით ნიადაგზე არსებული კონფლიქტის შედეგად, 1990 წელს დაბადებულ მ.ჩ.-ს, 1987 წელს დაბადებულ ტ.ბ.-ს, 1986 წელს დაბადებულ ს.ჭ.-ს და 1992 წელს დაბადებულ ო.კ.-ს, ბლაგვი საგნის გამოყენებით, სხეულის სხვადასხვა არეში დაზიანება მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაშავებულთაგან ერთ-ერთ მამაკაცს სამედიცინო დახმარება ადგილზე გაეწია, ხოლო სამი პირი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სამართალდამცველებმა გ.მ. ბრალდებულის სახით ცხელ კვალზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე და 120-ე მუხლებით მიმდინარეობს.

სამეგრელოს პოლიციამ სენაკში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 2003 წელს დაბადებული ლ.ს. დააკავეს.

დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ სენაკის მუნიციპალიტეტში, წარსულში არსებული კონფლიქტის შედეგად, ბრალდებულსა და მის სამეგობროს კონფლიქტი მოუვიდათ 1998 წელს დაბადებულ თ.გ.-სა და მის მეგობრებთან, რის შედეგადაც, ბრალდებულმა თ.გ.-ს, ცივი იარაღის გამოყენებით, დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. თ.გ. სამედიცინო დაწესებულებაში გარდაიცვალა. მომხდარი ინციდენტის შედეგად, ასევე, ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო რამდენიმე პირმა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ლ.ს. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს. იგი აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება, დანაშაულში ბრალდებული სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

ქვემო ქართლის პოლიციამ ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2001 წელს დაბადებული ნ.ი., ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული გარდაბანში, თავისი მართვის ქვეშ არსებული ავტომობილით განზრახ დაეჯახა დას – 1995 წელს დაბადებულ შ.ი.-ს, რის შემდეგაც, დანის გამოყენებით, სხეულზე მრავლობითი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული დაზიანებების შედეგად, შ.ი. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ნ.ი. ბრალდებულის სახით, ცხელ კვალზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჯგუფურად ჩადენილი ნივთის დაზიანების ბრალდებით, ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად ჩადენილი ნივთის დაზიანების ბრალდებით, 2005 წელს დაბადებული ო.ო. და წარსულში ნასამართლევი, 2001 წელს დაბადებული ს.მ. დააკავეს.

დანაშაული 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 14 მაისს, თბილისში, საკანონმდებლო ორგანოს შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიმდინარე საპროტესტო აქციის დროს, ს.მ.-მ და ო.ო.-მ, სხვა პირებთან ერთად, როგორც ფიზიკური ძალის, ასევე, რკინის ნივთის გამოყენებით, პარლამენტის შესასვლელთან განთავსებული რკინის დამცავი ჯებირი მიზანმიმართულად დააზიანეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით, საგამოძიებო მოქმედებებს აგრძელებს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ჯგუფურად ნივთის დაზიანებას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ პოლიციელებზე თავდასხმის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციელებზე თავდასხმის ბრალდებით, 1983 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის, მათ შორის, ძალადობის, ჯანმრთელობის დაზიანებისა და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისთვის ნასამართლევი გ.ო. თბილისში დააკავეს.

დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ გ.ო.-მ, მიმდინარე წლის 13 მაისს, თბილისში, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართულ საპროტესტო აქციაზე, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს. კერძოდ, აქციის მიმდინარეობისას, დაკავებულმა იდაყვისა და მუშტის დარტყმით პოლიციის თანამშრომლებს სახის არეში დაზიანებები მიაყენა. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გ.ო. სამართალდამცველებმა თბილისში დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სამსახურებრივი საქმიანობის შესრულების დროს, პოლიციელზე თავდასხმას გულისხმობს.

დამოუკიდებლობის 106-წლიანი გაკვეთილები

ნინო დოლიძე



როგორ იქცა 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ

რამდენიმე დღეში, საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას 106 წელი შეუსრულდება. იყო დრო, როცა 26 მაისს, როგორც განსაკუთრებულ თარიღს, ყურადღებას არავინ აქცევდა და თითო-ოროლა ადამიანი იატაკქვეშ აღნიშნავდა. 30 წელზე მეტია, სხვა რეალობაა – დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა „გრეხი“ აღარაა... მოდით, ყველაფერს ქრონოლოგიურად მივყვეთ.

1918 წელი

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას წინ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია უძღოდა, რომელმაც რუსეთის იმპერიაში შემავალ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას, პრაქტიკულად, იმის საშუალება მისცა, რომ საკუთარი თვითმყოფადობისთვის არათუ ებრძოლა, არამედ, ეს ბრძოლა წარმატებითაც დაეგვირგვინებინა, ესე იგი, დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა.

საქართველომ დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადა. მანამდე კი, როგორც ქართულ „ვიკიპედიაში“ ვკითხულობთ, მოვლენები ასე ვითარდებოდა:

„1918 წლის 24 მაისს, ფრეილინის ქუჩაზე, ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში, ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელსაც ნოე ჟორდანია თავმჯდომარეობდა. ჟორდანიამ დამსწრეთ, ბათუმიდან აკაკი ჩხენკელის მიერ, 23 მაისს გამოგზავნილი წერილის შინაარსი გააცნო, სადაც იგი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებას ითხოვდა. 25 მაისს, საღამოს 10 საათზე, უნდა შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც ამიერკავკასიის რესპუბლიკას დაშლილად გამოაცხადებდა.

მოგვიანებით, სეიმის სომეხი და აზერბაიჯანელი დეპუტატების თხოვნით, სხდომა 26 მაისის დღის 12 საათისთვის გადაიდო.

ნოე ჟორდანიამ დააყენა წინადადება: საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ მას შემდეგ, რაც სეიმი ამიერკავკასიის ფედერაციას დაშლილად გამოაცხადებდა. კენჭისყრის შედეგად, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას დაუყოვნებლივ, 25 მაისს, ხმა მისცა ექვსმა წევრმა, 26 მაისს გამოცხადებას – ოთხმა წევრმა.

25 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადება მაინც ვერ მოხერხდა, რადგან აღმოჩნდა, რომ დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი სრულყოფილი არ იყო და გადამუშავებას საჭიროებდა. აქტის ტექსტის გადამუშავება და მისი საბოლოო ვარიანტის მომზადება ნოე ჟორდანიას დაევალა. საბოლოოდ, აქტი იურისტმა გვაზავამ შეადგინა და წინასწარ გააცნო ჟორდანიას.

მასში, გარდა ნაციონალური დებულებებისა, შეტანილი იყო სოციალური საკითხებიც: რვა-საათიანი სამუშაო დღე, მამულების კონფისკაცია და სხვა. ჟორდანიამ ამოიღო სოციალური დებულებები, როგორც შესაძლო გამთიშველი ელემენტები და დატოვა მხოლოდ ნაციონალურ-პოლიტიკური საკითხები.

1918 წლის 26 მაისს, გოლოვინის პროსპექტზე მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში, ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა გაიმართა, რომელმაც ნაშუადღევის 3 საათზე, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა. იმავე დარბაზში, ნაშუადღევის 4 საათსა და 50 წუთზე, ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით, საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა გაიხსნა. მას 42 წევრი და 36 კანდიდატი ესწრებოდა. ნოე ჟორდანია სიტყვით გამოვიდა და მისი დასრულების შემდეგ წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებლობის აქტი ერთხმად დაამტკიცა. ამავე სხდომაზე დაამტკიცეს სამინისტროების რაოდენობა და მთავრობის პერსონალური შემადგენლობა. ასევე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნული საბჭოსთვის ეწოდებინათ საქართველოს პარლამენტი. დამოუკიდებლობის აქტი შემდგომ დაადასტურა და ოფიციალურად გამოსცა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ პირველსავე სხდომაზე, 1919 წლის 12 მარტს. დამოუკიდებლობის აქტში ნათქვამი იყო:

ამიერიდან, საქართველოს ხალხი სუვერენული უფლებების მატარებელია, ხოლო საქართველო – სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმაა – დემოკრატიული რესპუბლიკა.

საერთაშორისო ომებში საქართველო მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანაბრად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, მიუხედავად მისი ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ქმნის ყველა პირობას მის ტერიტორიაზე მცხოვრები ერების თავისუფალი განვითარებისათვის.

1918-1919 წლებში, მთავრობა კოალიციური იყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობის შემადგენლობა კი ასეთი გახლდათ:

მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი – ნოე რამიშვილი; საგარეო საქმეთა მინისტრი – აკაკი ჩხენკელი; სამხედრო მინისტრი – გრიგოლ გიორგაძე; ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი – გიორგი ჟურული; იუსტიციის მინისტრი – შალვა ალექსი-მესხიშვილი; სახალხო განათლების მინისტრი – გიორგი ლასხიშვილი; მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი – ნოე ხომერიკი; გზათა მინისტრი – ივანე ლორთქიფანიძე“.

* * *

1917 წლის გაზაფხულზე, რუსეთში მონარქიის დამხობის შემდეგ, ამიერკავკასიაში ორხელისუფლიანობა დამყარდა: ერთი მხრივ, მუშათა და სამხედრო დეპუტატთა საბჭოები, მეორე მხრივ, რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ შექმნილი ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომისარიატი, რომელთაც რეალური ძალაუფლება არ ჰქონიათ. ამავე პერიოდში, მოწვეულ იქნა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, რომელსაც ესწრებოდა ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლები. ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელიც გარდამავალ პერიოდში, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, პრაქტიკულად, საქართველოს მთავრობის ფუნქციას ასრულებდა.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ,

დასასრული მე-4 გვერდზე

დამოუკიდებლობის 106-წლიანი გაკვეთილები

მე-3 გვერდიდან

სამხრეთ კავკასია კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ადგილობრივმა გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალებმა არ სცნეს საბჭოთა ხელისუფლება და უკვე 1917 წლის ნოემბერში ჩამოაყალიბეს ადგილობრივი მმართველობა, ამიერკავკასიის კომისარიატის სახით, რომელმაც რუსეთის დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელ დეპუტატთაგან შექმნა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – სეიმი.

1918 წლის თებერვალ-მაისში, რუსეთის სამოქალაქო ომის დროს, საქართველო შედიოდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში. მას მართავდა ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც შედგებოდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენელთაგან. თუმცა, ფედერაცია სიცოცხლისუუნარო აღმოჩნდა, რაც გამოწვეული იყო ფედერაციის სუბიექტების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების შეუთავსებლობით. ამას დაემატა თურქეთის მხრიდან აგრესია, რომელმაც დაიკავა ბათუმი, არტაანი, ოზურგეთი, საფრთხე შეექმნა ახალციხესა და ახალქალაქს. შექმნილმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა მოვლენათა შემდგომი განვითარება: 1918 წლის 26 მაისს, ამიერკავკასიის ფედერაციამ არსებობა შეწყვიტა და იმავე დღეს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. მომდევნო დღეებში, დამოუკიდებლობა გამოაცხადეს სომხეთმა და აზერბაიჯანმა. 1918 წლის 24-25 მაისს, გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. სხდომაზე განხილულ იქნა თურქებთან მოლაპარაკებებზე ამიერკავკასიის დელეგაციის ხელმძღვანელის, ა. ჩხენკელის წერილი, რომელშიც ის მოლაპარაკებებზე შექმნილ მძიმე სიტუაციას აღწერდა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებას ითხოვდა. მიიღეს გადაწყვეტილება ამიერკავკასიის სეიმის თვითლიკვიდაციის შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღების თაობაზე. ამავე სხდომაზე დაამტკიცეს მომავალი მთავრობის შემადგენლობა. ასევე, მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნული საბჭოსთვის ეწოდებინათ საქართველოს პარლამენტი.

1918 წლის 26 მაისს, თბილისში, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა და შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მიიღეს „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი“, რომელშიც ნათქვამი იყო:

„ამიერიდან, საქართველოს ხალხი სუვერენული უფლებების მატარებელი, ხოლო საქართველო – სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო; დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმაა – დემოკრატიული რესპუბლიკა. საერთაშორისო ომებში საქართველო მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოა; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანაბრად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს მიუხედავად მისი ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ქმნის ყველა პირობას მის ტერიტორიაზე მცხოვრები ერების თავისუფალი განვითარებისათვის“.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი ორგანო იყო პარლამენტი (ეროვნული საბჭო), ხოლო აღმასრულებელი ორგანო – მინისტრთა საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებული იყო პარლამენტის წინაშე. პარლამენტიცა და მთავრობაც კოალიციური იყო, მაგრამ ჭარბობდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები, რომლებსაც მხარს უჭერდნენ არა მხოლოდ მუშები, არამედ – გლეხებიც.

დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ სამ წელიწადს – 1921 წლის 25 თებერვლამდე იარსება.

* * *

ალბათ, ბედის ირონიაა, რომ პირველი რესპუბლიკიდან საუკუნზე მეტია გასული და ჩენ ისევ არათუ დამოუკიდებლობის შენარჩუნებაზე, არამედ, კოალიციურ მთავრობაზე ვსაუბრობთ!

გასაგებია, რომ 70-წლიანმა ტოტალიტარულმა ცხოვრებამ გონება მოგვიწამლა, მაგრამ 30 წელზე მეტია, დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ და, ნუთუ, ვერ გავიაზრეთ, რომ ქვეყნის სტაბილური განვითარების ერთგვარი გასაღები და საიდუმლო, სწორედ კოალიციური მმართველობაა?

შეიძლება, გავიაზრეთ, მაგრამ ჩვენ, ყველანი, ხომ ადამიანები ვართ. ადამიანი კი ყველაზე რთული ქმნილებაა, რომელიც სიკეთესა და სიყვარულთან ერთად, ერთგვარი ეგოიზმისკენაც არის მიდრეკილი. ჰოდა, მოდით, ჩავთვალოთ, რომ ის, რაც ბოლო სამი ათეული წელია, ჩვენს ქვეყანაში ხდება, მათი „დამსახურებაა“, რომლებიც ხელისუფლებაში ხვდებიან.

ასეა თუ ისე, 26 მაისი ჩვენი დღეა – გილოცავთ, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

ვინ არის და რა ქონებას ფლობს მასონების „რისხვა“ ქართველი დეპუტატი

მარიამ ლაშხის ქონებრივი დეკლარაცია

მაკა რუხაძე

რამდენიმე დღეა, პოლიტიკურ წრეებსა და საზოგადოების აქტიურ ნაწილში, მხოლოდ ერთი თემა განიხილება – ბოლოს და ბოლოს, რას წარმოადგენს გლობალური ომის პარტია და ზოგადად, ვინ არიან ამ პარტიის წევრები. მაგალითად, „ქართული ოცნების“ დეპუტატი, მარიამ ლაშხი, ბრიტანულ პოდკასტ – The News Agents-ზე, ჟურნალისტ ლუის გუდალთან საუბრისას, გლობალური ომის პარტიას ადარებს მასონებს, რომლებსაც „მსოფლიო პოლიტიკაზე და ყველაფერზე გავლენა აქვთ“. დიახ, არ მოგესმათ, ნამდვილად ასე თქვა და მეტიც, იქვე დასძინა, რომ მართალია, ზუსტად არ იცის, ვინ არიან ამ პარტიის წევრები, მაგრამ მმართველ პარტიას „მტკიცებულებები აქვს, რომ დასავლეთის ომში ჩათრევის შეთქმულება არსებობს“...

ვიდრე საზოგადოება იმაზე მსჯელობს, რა საერთო აქვთ მასონებსა და „გლობალური ომის პარტიის“ წევრებს და მათ შორის, მინიმუმ – ხუთ და მაქსიმუმ – ათ განსხვავებას ეძებს, ჩვენ მარიამ ლაშხის ქონებრივი დეკლარაცია განვიხილოთ. თუმცა, ვიდრე გაგაცნობთ, რა ქონებას ფლობს დეპუტატი, თვალი მის ბიოგრაფიას გადავავლოთ.

დეპუტატის ბიოგრაფია

მარიამ ლაშხი 1988 წლის 1 აგვისტოს, თბილისში დაიბადა. ქართული „ვიკიპედიის“ მიხედვით, ის ქართველი პოლიტიკოსია, რომელიც იკავებდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ თავმჯდომარის მოადგილის პოსტს. არის საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტის წევრი, 2020 წლიდან.

მარიამ ლაშხს დამთავრებული აქვს საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმაციული და საინჟინრო ტექნოლოგიების ფაკულტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი – ბიზნეს-ინჟინერინგის სპეციალობით. 2006-2012 წლებში, იყო შპს „იეს-ანის“ დირექტორის მოადგილე. 2007-2009 წლებში – „საქართველოს ეკონომიკური პროგნოზის“ უმცროსი მკვლევარი. 2009 წელს იყო საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სტატისტიკის სამსახურის სპეციალისტი. 2011 წელს, სტაჟირებას გადიოდა საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში, ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში. 2012-2014 წლებში იყო ახალგაზრდული ასოციაცია „უკეთესი მომავლისთვის“ დამფუძნებელი, ამავე წლებში მუშაობდა მსოფლიო ბანკში. 2014-2018 წლებში მუშაობდა საქართველოს ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში, ხოლო 2018-2020 წლებში – საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში.

2020 წლიდან, საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტის წევრია პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკიდან „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“.

მარიამ ლაშხის ქონება

ქონებრივი დეკლარაცია მიმდინარე წლის 30 აპრილს შეავსო, საიდანაც ვიგებთ, რომ ჰყავს მეუღლე – ალექსანდრე ნეფარიძე და ორი ვაჟი – ნიკოლოზი და გიორგი.

დეკლარაციის მიხედვით, მარიამ ლაშხი, 100%-იანი წილით ფლობს მცხეთაში, საგურამოში, 700 კვ. მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთს, რომელიც 2023 წელს, დედას უჩუქებია. მიწის ნაკვეთი იპოთეკარის მიერ 77 000 აშშ დოლარადაა შეფასებული.

დეპუტატის საკუთრებაშია მსუბუქი ავტომობილი – Hyundai ix 35, რომელიც 2015 წელს, 12 000 აშშ დოლარად შეუძენია. მისი მეუღლის საკუთრებაშია ავტომობილი Toyota Rav4, რომელიც 2021 წელს, 12 300 აშშ დოლარად იყიდა.

ქონებრივი დეკლარაციიდან ირკვევა, რომ მარიამ ლაშხს ლიბერთი ბანკში აუღია 199 500 ლარის ოდენობის იპოთეკური სესხი, ხოლო ტერაბანკში გახსნილი აქვს 10 000 აშშ დოლარის ვადიანი ანაბარი.

რაც შეეხება დეპუტატის მეუღლეს, დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ ალექსანდრე ნეფარიძეს 11 000 ლარის ოდენობის სამომხმარებლო სესხი აქვს „კრისტალში“ და 7 998 ლარის სესხი – თიბისი ბანკში.

მარიამ ლაშხის, როგორც პარლამენტის საგრეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის წლიური ხელფასი 46 310 ლარია; როგორც საქართველოს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის წლიური შემოსავალი, დეკლარაციის მიხედვით, 10 000 ლარი ყოფილა.

რაც შეეხება ალექსანდრე ნეფარიძეს, მისი, როგორც „პაშა ბანკი საქართველოს“ კონსულტანტის ხელფასი 35 748 ლარია; როგორც „უნიქარდის“ კონსულტანტის – 55 200 ლარი.

დარღვევები შიდასახელმწიფოებრივი გზების მშენებლობაში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური შიდასახელმწიფოებრივი გზებით დაინტერესდა. აუდიტი, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტს – SRAMP ეხება. მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, ამ პროექტს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს. როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმწიფო მაკონტროლებლებმა გარკვეული ხარვეზები აღმოაჩინეს საავტომობილო გზების მშენებლობაში, მაგრამ იმავდროულად, ამ ხარვეზების გამოსასწორებლად, მთელი რიგი რეკომენდაციებიც შეიმუშავეს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს მთავრობამ, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს გზების დეპარტამენტის სახით, 2016 წელს, შედეგზე დაფუძნებული შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი – SRAMP დაიწყო. ეს პროექტი დაფინანსებულია საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მიერ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის – „იბიარდის“ (IBRD) მიერ გაცემული სესხით.

პროექტის მიზნებია: გზით მოსარგებლეებისთვის სოციალურ სერვისებსა და ბაზრებზე ხელმისაწვდომობის მდგრადი ფორმით გაუმჯობესება, პროექტით გათვალისწინებული გზების მეშვეობით; საქართველოში შიდასახელმწიფოებრივი გზების ქსელის აქტივების მართვის გაუმჯობესება.

აუდიტის ჯგუფმა განიხილა გურიის გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვისა და მისი შემდგომი შესრულების პროცესი, საქართველოს მთავრობის დაფინანსებით – ორი და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით – ოთხი პროექტირება-მშენებლობის პროექტების მიმდინარეობის პროცესი. გარდა ამისა, აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ზედამხედველი კონსულტანტების ყოველთვიური ანგარიშები, შუალედური გადახდის სერტიფიკატები გზების პროექტირება-მშენებლობისა და რეაბილიტაციის კონტრაქტები და მათი შესაბამისობა პროექტის მართვის სახელმძღვანელოსთან, ასევე, პროექტის შეფასების დოკუმენტთან.

აუდიტის ჯგუფმა ტექნიკური და გარემოსა და სოციალურ საკითხთა ექსპერტების მიერ მოწოდებული წინასწარი და საბოლოო ანგარიშებიც განიხილა, რათა განესაზღვრა პროექტირება-მშენებლობის და გურიის რეგიონში სარეაბილიტაციო კონტრაქტების ფარგლებში, შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების რეაბილიტაციისა და გაუმჯობესების მდგომარეობა.

ამასთან, აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა განსახლების სამოქმედო გეგმის მიხედვით საკომპენსაციო თანხების საკითხი და გზების უსაფრთხოების ინტეგრაცია აქტივების მართვის პროცესში. განხილულ იქნა განახლებული ხუთწლიანი პროგრამისა და მეექვსე წლისთვის მომზადებული გეგმის შესაბამისობა „გზების აქტივების შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისთვის მრავალწლიანი გეგმის მომზადების სახელმძღვანელოსთან“, ასევე კლიმატური მდგრადობის პრიორიტეტული ღონისძიებებისთვის შემუშავებული დეტალური დიზაინი და სატენდერო დოკუმენტები, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, წინა წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი. შუალედური ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, 2021 წელს, 7 201 839 აშშ დოლარი გაიხარჯა.

დარღვევები ხიდისთავი-ატენი-ბოშურის პროექტში

აუდიტის შედეგად ირკვევა, რომ შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი – SRAMP ითვალისწინებს ხიდისთავი-ატენი ბოშურის გზის მონაკვეთის რეაბილიტაციას. გზის კონკრეტული მონაკვეთის გაფართოებისთვის საჭირო იყო მიმდებარე სოფლებისთვის განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადება. განსახლების სამოქმედო გეგმა მომზადდა 2018 წლის ივლისში, იმავე წლის 14 სექტემბერს, შეთანხმდა მსოფლიო ბანკთან და ითვალისწინებდა 40 მიწის ნაკვეთის ნაწილობრივ შეძენას.

„განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელებისას გაირკვა, რომ რუკაზე, მიწების საკადასტრო მონაცემები საჯარო რეესტრში არასწორად იყო დარეგისტრირებული. მიწის მესაკუთრეებს გზების დეპარტამენტთან კოორდინაციით მოუწიათ მათი ხელახალი რეგისტრაცია. მთლიანობაში, 2018 და 2019 წლებში შეძენილ იქნა, შესაბამისად, 8 და 5 მიწის ნაკვეთი. გადახდილმა კომპენსაციამ 2018 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგინა 16 004 ლარი, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრისთვის – 21 532 ლარი. აუდიტის ჯგუფმა განიხილა კომპენსაციის გადახდასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი დოკუმენტი. საჯარო რეესტრის მონაცემებით, 13 მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება სათანადო წესით გადაეცა გზების დეპარტამენტს. საკომპენსაციო თანხები გადახდილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფომ საკუთრებაში მიიღო 6 მიწის ნაკვეთი, თანაც ყოველგვარი კომპენსაციის გადახდის გარეშე, რადგან ფიზიკურმა პირებმა ვერ შეძლეს ამ მიწების დარეგისტრირება. აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ დარჩენილ 21 მიწის ნაკვეთზე, კონკრეტული აქტივობების განხორციელების აუცილებლობა აღარ იყო.

დარღვევები თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის პროექტში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად ისიც გაირკვა, რომ შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის

დასასრული მე-7 გვერდზე

დარღვევები შიდასახელმწიფოებრივი გზების მშენებლობაში

მე-5 გვერდიდან

პროექტი (SRAMP) ითვალისწინებს თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის გზის მონაკვეთის (1კმ-დან 30კმ-მდე) რეაბილიტაციას. გზის კონკრეტული მონაკვეთის გაფართოება საჭიროებდა მიმდებარე სოფლებისთვის განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადებას.

„პროექტი მოიცავდა 132 მიწის ნაკვეთს, საიდანაც 115 მიწის ნაკვეთი სახელმწიფოს საკუთრებაში იყო. შესაბამისად, განსახლების სამოქმედო გეგმა მომზადდა მიწის 17 ნაკვეთზე და 2019 წლის 21 მაისს, შეთანხმდა მსოფლიო ბანკთან. აუდიტის ჯგუფმა განიხილა კომპენსაციის გადახდასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი დოკუმენტი. საჯარო რეესტრის ინფორმაციის თანახმად, შეძენილ მიწის 4 ნაკვეთზე საკუთრების უფლება სათანადო წესით გადაეცა გზების დეპარტამენტს. საკომპენსაციო თანხები გადახდილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან“.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2020 წელს, მიწის შესყიდვის მიზნით, 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სულ გადახდილია 261 700 ლარი. თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის გზის მონაკვეთზე განსახლების გეგმასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები 2021 წელს არ განხორციელებულა. თუმცა, 2022 წელს, აღნიშნული მიწის ნაკვეთები მოხვდა მინიმალიზაციაში, შესაბამისად, არ გახდა საჭირო განსახლების პროცედურის ჩატარება. აუდიტორების მტკიცებით, ამ ფაქტს ადასტურებს, როგორც გზების დეპარტამენტის წარმომადგენელი, ასევე, შესაბამისი ექსპერტი გარემოსდაცვითი და სოციალური შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში.

დარღვევები გურიის რეგიონის პროექტებში

რაც შეეხება გურიის რეგიონს, შვიდივე საპროექტო ლოტისთვის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მომზადებულია და ხორციელდება შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმა – ARAP. ARAP-ის ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტორებმა დაადგინეს, რომ გზების რეაბილიტაციის დროს (7 ლოტი) მოსალოდნელია მცირე დროებითი ზემოქმედება მითითებული და/ან კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ზოგიერთ ღობეზე არსებული გზის გასწვრივ განთავსებული მიწისქვეშა წყლის მილების შეცვლისას.

„საერთო ჯამში, შვიდივე ლოტის სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთებზე იდენტიფიცირებულია 78 ადგილი, სადაც პროექტის ზემოქმედების ქვეშ ექცევა იქ არსებული ღობეები, 70 – კერძო საკუთრებაში, ან გამოყენებული და 8 – სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, რისთვისაც ARAP-ით გათვალისწინებულია შესაბამისი ღონისძიებები მოსალოდნელი ზემოქმედების შესამცირებლად.

იქიდან გამომდინარე, რომ ოზურგეთი-ნატანები-ურეკის საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებში მოსალოდნელი იყო 10 კერძო საკუთრებაზე სავარაუდო ზემოქმედება, SRAMP-ის ფარგლებში აღარ განხორციელდა და თავიდან იქნა აცილებული ზემოქმედება 10 ნაკვეთზე“.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ პროექტების ფარგლებში ამოქმედებულია საჩივრების მიღებისა და განხილვის მექანიზმი. საანგარიშო პერიოდში, დაფიქსირდა 40 საჩივარი. როგორც სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, ამ 40 საჩივრიდან, 17 – მიმდინარეა, 2 – უკვე მოგვარდა, მაგრამ ჯერ არ დასრულებულა, 1 – მოლოდინის რეჟიმშია, 15 – დაიხურა, 5 – განხილულ იქნა და უარყოფილია.

ხარვეზები სხვადასხვა გზების მშენებლობაში

ჟინვალი-ბარისახო-შატილის გზის მონაკვეთის ადგილზე დათვალიერების შედეგად, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ გარკვეული სამუშაოები შესრულებული იყო დაბალი ხარისხით; რკინა-ბეტონის

კიუვეტებზე შეინიშნებოდა სეგრეგაციის ნიშნები, რაც გამოწვეული იყო რკინა-ბეტონის მილების შეერთებასთან დაკავშირებული დაბალი ხარისხის სამუშაოებით, რის გამოც გამსვლელ მილში წყალი ვერ ხვდებოდა; გზის გარკვეული მონაკვეთების გეომეტრიული მახასიათებლები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა საპროექტო მონაცემებისგან.

„ჟინვალი-ბარისახო-შატილის შიდა სახელმწიფოებრივი გზის მონაკვეთზე გამოვლინდა შემდეგი მნიშვნელოვანი ნაკლოვანება: მიმღები კონსტრუქციიდან, მილი არ ატარებდა წყალს გამშვებ კონსტრუქციამდე. ზემოაღნიშნული შეუსაბამობების გათვალისწინების გარეშე, ტექნიკური ექსპერტი მიიჩნევს, რომ გზაზე გადაადგილება უსაფრთხოა და შეესაბამება საპროექტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს. გარდა ამისა, გზის გარკვეულ მონაკვეთებზე შესრულებული სამუშაოების ხარისხი იყო დაბალი, ტროტუარის სიგანე არ შეესაბამებოდა საქართველოში მოქმედ სამშენებლო სტანდარტებს და ნორმებს; საყრდენი კედლის ზომები უმნიშვნელოდ აღემატებოდა საპროექტო დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; შეინიშნებოდა დაზიანებული ასფალტის საფარი; ასფალტის საფარის გეომეტრიული მახასიათებლები არ შეესაბამებოდა საპროექტო დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; მილის ქანობი მცირედით აღემატებოდა საპროექტო მონაცემს; შეინიშნებოდა დაზიანებული გამსვლელი სათავისის კედელი; კედლის სისქე არ შეესაბამებოდა საპროექტო დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს“.

გარდა ამისა, აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ლითონის ზღუდარები უხარისხოდ იყო მოწყობილი; განივი ქანობები არ შეესაბამებოდა საპროექტო დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; გამსვლელი სათავისის გეომეტრიული მახასიათებლები არ შეესაბამებოდა საპროექტო დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; ძირითად საპროექტო მონაკვეთზე შეინიშნებოდა გრძივი და განივი ბზარები, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ასფალტის საფარის მოწყობის დროს გადაბმის ადგილების არასათანადოდ იყო დამუშავებული.

„ხიდისთავი-ატენი-ბოშურის გზის მონაკვეთზე, გამოვლინდა შემდეგი მნიშვნელოვანი ნაკლოვანება: საყრდენი კედლის არმირებას არ ჰქონდა დამცავი ბეტონის ფენა; საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის გზის მონაკვეთზე, რკინა-ბეტონის მილის სექციები აცდენილია, ხოლო გადაბმის ადგილები არ არის ამოლესილი საპროექტო მოთხოვნების შესაბამისად; წყალგამშვებ კედელთან ქვაბული სათანადოდ დამუშავებული არ არის, რაც ხელს უშლის წყლის მილიდან გადინებას; მილის ქანობი უმნიშვნელოდ მცირეა პროექტით გათვალისწინებულ პარამეტრებთან შედარებით“.

რეკომენდაციები

დარღვევების გამოვლენასთან ერთად, სახელმწიფო აუდიტორებმა რეკომენდაციებიც შეიმუშავეს. კერძოდ, გზების სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავებულია და დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, მათ შორის, შესრულებული სამუშაოების ტიპზე, საავტომობილო ნაკადის ინტენსივობასა და ადგილობრივ კლიმატზე. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გაარკვია, რომ გზების დეპარტამენტის მიერ წლიური გეგმის შემუშავების პროცესში არ მიმდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი გზების სავარაუდო, სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. შედეგად, გზების დეპარტამენტს არ აქვს შესაძლებლობა დაასაბუთოს, ირჩევს თუ არა საუკეთესო ვარიანტს მოვლა-შენახვას, პერიოდულ მოვლა-შენახვასა და სარეაბილიტაციო სამუშაოებს შორის.

„შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, სასურველია, გზების დეპარტამენტმა შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს გზების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასებას, სამუშაოების ტიპის მიხედვით. შეფასება შესაძლებელია წარსული გამოცდილების, სამუშაოების ტიპის, წლის საშუალო დღიური ნაკადისა და რეგიონული კლიმატის საფუძველზე. აუცილებელია, სხვადასხვა სამუშაოს (მოვლა-შენახვა, პერიოდული მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია) მოსალოდნელი შედეგების ურთიერთშედარება, შემდგომში მათგან ყველაზე ოპტიმალური ვარიანტის შესარჩევად“.

რაც მთავარია, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, არ არსებობს გზების, ხიდების, მაგისტრალებისა და საგზაო გვირაბების მშენებლობასთან დაკავშირებული ეროვნული ტექნიკური რეგულაციები და სტანდარტები. 2021 წელს, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა ჩაატარა თემატური კვლევა, სამშენებლო სექტორში ერთიანი სტანდარტების დანერგვის პრობლემებთან დაკავშირებით. გზების დეპარტამენტმა გამოითხოვა აღნიშნული ინფორმაცია და გამოხატა მზადყოფნა, მონაწილეობა მიეღო ახალი რეგულაციებისა და სტანდარტების შემუშავებასა და დანერგვაში.

პრეზიდენტის დაღუპვა – რა შეიცვლება ირანისა და მსოფლიო პოლიტიკაში

ვინ იყო ებრაჰიმ რაისი და ვინ გახდება ირანის ახალი პრეზიდენტი

ნინო დოლიძე

უბედური შემთხვევა თუ მკვლელობა? – ამის შესახებ ოფიციალურად ჯერჯერობით არავინ არაფერს ამბობს, მაგრამ ყველა, ვინც მსოფლიო პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად ერკვევა, ხვდება, რომ ირანის პრეზიდენტის დაღუპა ცვლილებებს თავად ირანში კი არა, არამედ, მსოფლიო პოლიტიკაშიც გამოიწვევს. როგორი იქნება ეს ცვლილებები? – ამას დრო აჩვენებს. მანამდე კი, „ვერსია“, „რადიო თავისუფლებაზე“ დაყრდნობით, 63 წლის ებრაჰიმ რაისზე მოგიყვებათ.

მოკლედ, ირანის ხელისუფლებამ ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის, 63 წლის ებრაჰიმ რაისისა და საგარეო საქმეთა მინისტრის, ჰოსეინ ამირ-აბდოლაჰიანის დაღუპვა ოფიციალურად ავიაკატასტროფიდან რამდენიმე საათის შემდეგ დაადასტურა – ვერტმფრენი, რომელშიც ირანის პრეზიდენტი, საგარეო საქმეთა მინისტრი და კიდევ 7 ადამიანი იმყოფებოდნენ, კვირას, 19 მაისს ჩამოვარდა ირანის ჩრდილო-დასავლეთში, მთიან რაიონში, აზერბაიჯანთან საზღვრის მახლობლად.

დელეგაცია ირანის აღმოსავლეთ აზერბაიჯანის პროვინციიდან ბრუნდებოდა. ირანის აზერბაიჯანი აზერბაიჯანის რესპუბლიკას ესაზღვრება, სადაც ირანის დელეგაციამ აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან ერთად ახალი კაშხალი გახსნა.

როგორც ცნობილია, ვერტმფრენის მთელი ეკიპაჟი დაიღუპა. სააგენტო „თასნიმ“-ის ცნობით, პრეზიდენტსა და საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად იყვნენ: აღმოსავლეთ აზერბაიჯანის პროვინციის გუბერნატორი, ქალაქ თავრიზის იმამი, პრეზიდენტის დაცვის უფროსი, დაცვის სამსახურის თანამშრომელი, ორი პილოტი, ტექნიკოსი.

არსებული ინფორმაციით, ვერტმფრენის კატასტროფის მიზეზი უამინდობა გახდა.

მედიის თანახმად, ძლიერი ნისლის გამო გართულდა სამძებრო ოპერაციაც. მაშველებმა ვერტმფრენის კატასტროფის ადგილს მხოლოდ მეორე დღეს, 20 მაისს მიაღწიეს.

ვერტმფრენი, რომლითაც დელეგაცია მგზავრობდა, ირანული წარმოების Bell 212 იყო.

გამოცემა Guardian-ის თანახმად, ირანს ასეთი ვიზიტებისათვის სხვადასხვა მოდელი ჰყავს, თუმცა საერთაშორისო სანქციები მათი ნაწილების შესყიდვას ართულებს. სამხედრო-საჰაერო ძალებიც 1979 წლის რევოლუციამდელი მოდელებითაა დაკომპლექტებული.

კვირას, სანამ ვერტმფრენის ნარჩენებს იპოვიდნენ, ლიდერმა ალი ხამენეიმ მოქალაქეებს სიმშვიდისკენ მოუწოდა და განაცხადა, რომ „ქვეყნის მუშაობა არ შეფერხდება“.

გამოცემა Atlantic-ის ცნობით, ირანის მთავრობაში წყარომ უთხრა, რომ რაისის დაღუპვა რამდენიმე საათით ადრე იყო დადასტურებული ირანის ხელისუფლებისათვის, თუმცა ისინი მსჯელობდნენ, როგორ ეთქვათ ეს ამბავი ხალხისთვის ისე, რომ პანიკა არ დაეთესათ.

ეროვნული ტრაგედიის გამო ირანში 5-დღიანი გლოვა გამოცხადდა.

ვინ იყო რაისი

ირანის პოლიტიკურ სტრუქტურაში – შიიტურ თეოკრატიაში – პრეზიდენტი მეორე ყველაზე გავლენიანი ფიგურაა. ირანის პრეზიდენტზე გადის ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხები, თუმცა გადაწყვეტილების მიმღები საბოლოოდ უზენაესი ლიდერია – ისლამურ რესპუბლიკას სწორედ უზენაესი ლიდერი მართავს. ახლანდელი უზენაესი ლიდერია 85 წლის აიათოლა ალი ხამენეი.

პრეზიდენტ ებრაჰიმ რაისის, რომელიც საგარეო პოლიტიკაში მკაცრი ხაზის მომხრე იყო, დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნევდნენ აიათოლას პროტეჟედ და პოტენციურ მემკვიდრედაც.

რაისი 1960 წელს დაიბადა ქალაქ მაშადში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ირანში. განათლება შიიტ მუსლიმთა წმინდა ქალაქებში, მშობლიურ მაშადსა და ყუმში მდებარე სემინარიებში მიიღო.

მოგვიანებით ისწავლა თეოლოგია და ისლამური იურისპრუდენცია – უშუალოდ ალი ხამენეისა და სხვა ძლიერი სასულიერო პირების ხელმძღვანელობით.

1989 წელს, როდესაც ალი ხამენეი უზენაესი ლიდერი გახდა, რაისი თეირანის მთავარ პროკურორად დანიშნეს.

ამ დროისთვის მას უკვე ჰქონდა მეტსახელი – „თეირანის ჯალათი“ – 1988 წელს პოლიტპატიმრების მასობრივ სიკვდილით დასჯაში მონაწილეობის გამო.

„თეირანის ჯალათი“

1988 წელს ირანის მაშინდელი უზენაესი მმართველი, 1978 წლის ისლამური რევოლუციის სულისჩამდგმელი და ლიდერი, აიათოლა რუჰოლა ხომეინი გაეროს შუამავლობით დათანხმდა ცეცხლის შეწყვეტას, რასაც ირან-ერაყის 8-წლიანი ომი უნდა დაესრულებინა. იმავე წელს ირანული ოპოზიციური ჯგუფის, „მუჯაჰედინ-ეხალღის“ წევრები, რომლებსაც ერაყელი ლიდერი სადამ ჰუსეინი უჭერდა მხარს, მოულოდნელად ერაყიდან ირანში შეიჭრნენ.

ირანმა მათი თავდასხმა მოიგერია და სწორედ ამის შემდეგ დაიწყო სასამართლო პროცესები, რომელიც შორს იყო სამართლიანი სასამართლოსგან.

უფლებადამცველი ორგანიზაციის, Amnesty International-ის 1990 წლის მოხსენება აღწერს, რომ ბრალდებულებს საკუთარი თავის წარდგენას სთხოვდნენ: ვინც უპასუხებდა, რომ „მუჯაჰედია“, სიკვდილით სჯიდნენ, ხოლო სხვებს ეკითხებოდნენ, იყვნენ თუ არა მზად, გაეწმინდათ დანაღმული ტერიტორიები „ისლამური რესპუბლიკის არმიისთვის“.

უფლებადამცველი ჯგუფების შეფასებით, 1988 წელს სიკვდილით 5000-მდე ადამიანი დასაჯეს.

დასასრული მე-15 გვერდზე

სამართალი

№13 22 მაისი 2024 წ

ძმამ დას ჯერ ავტომობილი დააჯახა, შემდეგ კი ცივი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა

გარდაბანში მომხდარი საზარელი მკვლელობის უცნობი დეტალები

ბათო ჯაფარიძე

გასულ კვირას, კიდევ ერთი მძიმე დანაშაული მოხდა. უფრო სწორად, უმძიმესი დანაშაული. ქვემო ქართლში, კონკრეტულად კი გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ახალგაზრდა კაცმა საკუთარი და მოკლა. მან გოგონას ჯერ ავტომობილი დააჯახა, შემდეგ მანქანიდან გადმოვიდა და ასფალტზე მწოლიარე ქალს ცივი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. თვითმხილველთა თქმით, როცა ბიჭი დარწმუნდა, რომ მისი და მკვდარი იყო, ავტომობილში დაბრუნდა, განყოფილებაში მივიდა, მკვლელობის იარაღი მორიგის მაგიდაზე დადო და განაცხადა, რომ მკვლელობა ჩაიდინა. რა თქმა უნდა, ის მაშინვე დააკავეს, შემთხვევის ადგილზე სასწრაფო, ოპერატიული ჯგუფი და ექსპერტები გავიდნენ, თუმცა დაზარალებულს ცოცხალს ვერ მიუსწრეს.

რაც შეეხება მიზეზს, როგორც ამბობენ, მიზეზი ძმის მუქარა იყო. გოგონა რამდენიმე წლის წინ გათხოვდა და შვილიც შეეძინა, თუმცა შემდეგ სხვა მამაკაცი გაიცნო და მასთან ცხოვრება გადაწყვიტა. შვილები ქალმა მამის ოჯახს დაუტოვა, იქიდან წავიდა და სხვა მამაკაცთან ერთად ბინა იქირავა. მომხდარის შესახებ გოგონას ძმამ რომ გაიგო, დაიმუქრა, სადაც ვნახავ, იქ მოვკლავო, მაგრამ მისი მუქარა სერიოზულად არავინ აღიქვა. სინამდვილეში, ბიჭს, თურმე, მართლაც სერიოზული განზრახვა ჰქონია და როგორც კი დას თვალი მოჰკრა, იმის შიშით, რომ გოგონა არ გაქცეულიყო, ჯერ ავტომობილი დააჯახა და მხოლოდ ამის შემდეგ გაუსწორდა ცივი იარაღით. სამწუხაროდ, ადგილი, სადაც მკვლელობა მოხდა, ერთგვარი ჩიხი ყოფილა და შესაბამისად, ხალხმრავლობით არ გამოირჩეოდა, ამიტომ გარდაცვლილის დახმარება ვერავინ შეძლო. როგორც გვიყვებიან, თვითმხილველი რამდენიმე ქალია, თუმცა ისინი მხოლოდ კიოდნენ და ახლოს მისვლა ვერ გაბედეს.

არანაკლებ საინტერესო იყო ამბის გაგრძელება. როგორც წესი, გვამი ექსპერტიზაზე გადაასვენეს, ექსპერტიზის დასრულების შემდეგ, ნათესავებს ნება დართეს, რომ გარდაცვლილი შინ წაესვენებინაათ, მაგრამ... მისი წაყვანის მსურველი არავინ გამოჩნდა – ქმრის ოჯახი ამბობდა, ჩვენგან წასულია, სხვა კაცთან ცხოვრობდა და ჩვენ რა შუაში ვართო, გოგოს მამა კი ამტკიცებდა, მაგის გულისთვის, ჩემმა ბიჭმა თავი დაიღუპა, ამან ქვეყნის დასაცინი გაგვხადა და ასეთი შვილი არც ცოცხალი მინდა, არც მკვდარიო. რაც შეეხება მამაკაცს, ვისთანაც ცხოვრობდა, ის მომხდარის შემდეგ გაიქცა, რადგან შურისძიების შეეშინდა. სიმართლე გითხრათ, ვერ გავარკვიეთ, საბოლოო ჯამში, ვინმემ წაასვენა თუ არა გარდაცვლილის სხეული, მაგრამ ნათესავები უარზე რომ იყვნენ, ნაღდია. ჰო, დაკავებულს, ოჯახის წევრის განსაკუთრებული სისასტიკით მკველობისთვის, 16-დან 20 წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

მედალს მეორე მხარეც აქვს და ალბათ, გაინტერესებთ, რას ამბობს ადგილობრივი მოსახლეობა მომხდარზე, რას ფიქრობენ ის სოფლელები, სადაც გოგოს ოჯახი ცხოვრობდა და ამართლებენ თუ არა ბიჭის საქციელს?! ჩვენ ვერ ვნახეთ ვერცერთი ადამიანი, რომელიც იტყოდა, რომ ბიჭი ცუდად მოიქცა. პირიქით, არავის ეცოდებოდა გარდაცვლილი გოგო და ყველას ეცოდებოდა ბიჭი, რომელმაც ოჯახს ნამუსი შეუნახა და ამის გამო, ციხეში არაერთი წლის გატარება მოუწევს. შესაძლოა, გულის სიღრმეში, ვინმეს გოგონაც ეცოდება, მაგრამ ხმამაღლა ამის თქმას ვერავინ ბედავს, მით უმეტეს ქალები ვერ ამბობენ, რომ გოგონა მოსაკლავად არ უნდა გაემეტებინათ. ეგებ, ამის ხმამაღლა თქმისთვის, მთქმელმაც საკუთარ თავს იგივე განაჩენი გამოუტანოს. ერთი შეხედვით, ეს ყველაფერი მოგონილ ზღაპარს ჰგავს, თანაც იმის გათვალისწინებით, რომ გარეთ 21-ე საუკუნეა, მაგრამ ეს გახლავთ მწარე რეალობა, რომელში ცხოვრებაც ჩვენ გვიწევს.

საინტერესოა, როგორ ექცევიან იმ პატიმრებს, რომლებიც ანალოგიურ დანაშაულს სჩადიან და რა მდგომარეობაში უწევთ მათ სასჯელის მოხდა. კონკრეტულად ამ დანაშაულისთვის დაკავებული პირის მომავალზე, ჯერჯერობით, ვერაფერს გეტყვით, მაგრამ სავარაუდოდ, მასაც ზუსტად ისე მოექცევიან, როგორც ამგვარი დანაშაულისთვის გასამართლებულ სხვა პატიმრებს. რამდენიმე მაგალითს გიამბობთ.

დაახლოებით, 20 წლის წინ, ახალციხეში, მამაკაცი, რომელიც დაცვის პოლიციაში მუშაობდა, სახლში იმიტომ დაბრუნდა, რომ ფაღარათი ჰქონდა და სამსახურში საპირფარეშო გაიჭედა. მისდაუნებურად, თან სამსახურის იარაღი გამოჰყვა და როცა შინ შევიდა, საძინებლიდან ხმები გამოდიოდა, საძინებლის კარი შეაღო და დაინახა, რომ მისი ცოლი უცხო მამაკაცთან ერთობოდა. მან იარაღი ამოიღო, პირველი გასროლა ცოლის მისამართით განახორციელა, დანარჩენი კი მამაკაცს ესროლა. ქალი ადგილზე დაიღუპა და იმის მიუხედავად, რომ მამაკაცს ოთხი ტყვია მოხვდა, გადარჩა. რა თქმა უნდა, მკვლელი დააკავეს და ადვოკატმა ყველაფერი გააკეთა, რომ აფექტი დაედგინათ და დაადგინეს კიდეც, მაგრამ სასამართლოზე, ბოლო სხდომაზე, მოსამართლემ ბრალდებულს ჰკითხა – „მაშინ აფექტში იყავით, ახლა კი მშვიდად ხართ, დაფიქრდით და ისე მიპასუხეთ, ახლა, თქვენი ცოლი ცოცხალი რომ იყოს, იგივეს გააკეთებდით?!“ რა თქმა უნდა, ადვოკატმა მოასწრო და დაცვის ქვეშ მყოფს უჩურჩულა, თქვი, რომ ინანიებო, მაგრამ ბრალდებული ჩაფიქრდა და... „დიახ, იგივეს გავაკეთებდი და ათჯერ რომ შემეძლოს ჩემი ცოლის მოკვლა, ათივეჯერ მოვკლავდი“... მოსამართლემ ყველაფერი გადასარევად გაიგო და საბოლოო ჯამში, ბრალდებულს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა სააპელაციო სასამართლომ მთელი 6 წელი ჩამოაკლო და საბოლოო ჯამში, მას 12 წელი მისცეს. რაც შეეხება ზონას – მას ყველა პატივს სცემდა, ყველა ყვებოდა მის ისტორიას, თითით საჩვენებელი კაცი გახლდათ, კაცი, რომელმაც საკუთარი ოჯახის ღირსება დაიცვა და ციხეში წავიდა, თან წავიდა ისე, რომ მოსამართლისგან მინიმალური სასჯელის მიღება შეეძლო, თუმცა არ „დაზადნა“, სიმართლე თქვა და მართალია, დიდი „სროკი“ მიიღო, სამაგიეროდ, პატივისცემა მოიპოვა. გვერწმუნეთ, ორიოდე წლის შემდეგ, იმავე კაცისთვის მოსამართლეს იგივე კითხვა რომ დაესვა, ის აუცილებლად უპასუხებდა, არ ვესროდი, უბრალოდ, დავშორდებოდიო, რადგან როგორ კარგადაც არ უნდა გეპყრობოდნენ ციხეში, იქ ჯოჯოხეთია, ნამდვილი ჯოჯოხეთი და ეს არის სიმართლე. ეს პატიმარი, პრაქტიკულად, ყოველთვე წერდა წერილებს პრეზიდენტს და ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიას, აქედან გამიშვით და აღარასოდეს ჩავიდენ დანაშაულსო, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა და მან სასჯელი თითქმის სრულად მოიხადა. თითქმის იმიტომ, რომ მერე „ქართული ოცნების“ ამნისტიამ მოუსწრო და იარაღის გამოყენებისთვის მიღებული სასჯელი გაუნულა.

იყო კიდევ ერთი ახალგაზრდა პატიმარი, რომელმაც ასევე ცოლი მოკლა, ოღონდ მას განსხვავებულად ეპყრობოდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ მანაც საკუთარ მეუღლეს სხვა კაცთან მიუსწრო და როგორც საგამოძიებო საქმის მასალებში ეწერა, მან კაცს წასვლის უფლება მისცა, უფრო ზუსტად კი, იქ ეწერა, რომ ბინაში შესვლის შემდეგ, ბრალდებულმა მამაკაცს უთხრა, ჩაიცვი და წადიო, ცოლს კი დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და შემდეგ გაქცევა სცადა, თუმცა ერთი დღის შემდეგ, პოლიციაში თავად გამოცხადდა. სწორედ ამ ორი მიზეზის გამო, მას პატივს არ სცემდნენ და ეუბნებოდნენ, რომ არასწორად მოიქცა, რომ თუ მოკვლა სურდა, ის მამაკაციც უნდა მოეკლა და რაც მთავარია, პოლიციაში თავისი ფეხით არ უნდა მისულიყო. აი, გარდაბანში მომხდარ დანაშაულშიც, ბრალდებულს ზონაზე პრობლემა, შესაძლოა, ამის გამო შეექმნას – პოლიციაში საკუთარი ნებით მისვლა, რა დანაშაულიც არ უნდა გქონდეს ჩადენილი, გამართლებული არაა, უნდა გაიქცე, უნდა დაიმალო, უნდა ეცადო... რამდენად გამოგივა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ შენ შენი უნდა გააკეთო.

იყო კიდევ ერთი, განსაკუთრებული შემთხვევა. ბიჭმა დედა მოკლა იმის გამო, რომ მას სხვა მამაკაცთან შეუსწრო. მამა გარდაცვლილი ჰყავდა, თბილისში ცხოვრობდა და გადაწყვიტა, დედისთვის საახალწლოდ სიურპრიზი მოეწყო და 30 დეკემბერს, გვიან ღამით ჩავიდა. საძინებელში რომ შევიდა, დედის გვერდით, ვიღაც კაცი იწვა, მან კედლიდან სანადირო თოფი ჩამოხსნა, მამაკაცს თავზე დაადო და გაისროლა. მერე გაირკვა, დედასაც სურდა შვილისთვის სიურპრიზი, რომელსაც 31-ში ელოდა და უნდა ეთქვა, რომ ეს მამაკაცი მისი მომავალი ქმარი იყო, რომ შვილს თავის ცხოვრება ჰქონდა, რომ მას ცოლ-შვილი ჰყავდა, რომ დედა სულ მარტო იყო და აღარ შეეძლო მარტოობა. უდანაშაულო კაცის მოკვლისთვის, მას ზონაზე კარგი დღე არ ელოდა, მაგრამ გაუმართლა – თავის დროზე, ძალოვან უწყებაში იყო ნამუშევარი, რაც იმას ნიშნავდა, რომ სასჯელი „მატროსოვზე“ უნდა მოეხადა და სხვა პატიმრებისგან არაფერი ემუქრებოდა.

სასიყვარულო ოთხკუთხედის სისხლიანი ფინალი

როგორ გავიდნენ ძალოვანები რეალურ დამნაშავეზე

ბათო ჯაფარიძე

ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ. ბავშვობის წლები საუკეთესო მოგონება უნდა იყოს და რაც მთავარია, ბავშვობის მეგობრობა სიცოცხლის ბოლომდე უნდა გაგრძელდეს. ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს და ძალიან ბევრი ადამიანი ბავშვობის მეგობრებს არასდროს კარგავს. ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, სწორედ ბავშვობის მეგობრებზეა, თუმცა...

პროკურატურაში ახალგაზრდა ქალი მივიდა და განაცხადა, რომ მისი მეგობარი დაიჭირეს, ბავშვობის მეგობარი და მკვლელობას აბრალებდნენ. პროკურორებმა ეს საქმე ძალიან კარგად იცოდნენ, თითქოს, ყველაფერი დღესავით ნათელი იყო, მაგრამ ქალი ჯიუტად ამბობდა, დამნაშავე სხვა არის, გულიც მიგრძნობს და რაც მთავარია, როცა მკვლელობა მოხდა, შემთხვევიდან, დაახლოებით, ათ წუთში, თქვენს ეჭვმიტანილს შევხვდი და შემთხვევის ადგილიდან ჩემამდე მოსვლას ვერ მოასწრებდაო.

„ჩვენ ოთხი მეგობარი ვიყავით, სამი ბიჭი და ერთი გოგო ანუ მე. გაგიკვირდებათ, მაგრამ ამ შემადგენლობით ვიყავით ყველგან – ჭირი იყო თუ ლხინი, სულ ერთად დავდიოდით. მერე, როცა სკოლას ვამთავრებდით, სიყვარულში სამივე ერთად გამომიტყდა, მაგრამ მე მათ ძმებივით ვუყურებდი. შემდეგ, ისინი ჯარში წავიდნენ, იქაც ერთად იმსახურეს და სამივე ცალ-ცალკე მწერდა წერილებს. არ ვიცი, წერილების გავლენა იყო თუ სხვა რამ, მაგრამ ერთ-ერთი შემიყვარდა და როცა ჯარიდან დაბრუნდა, ცოლად გავყევი. ის ორი მეჯვარეებად გვყავდა და ცხოვრება გაგრძელდა. ორი წლის შემდეგ, ბიჭი მეყოლა, მაგრამ ბედნიერება დიდხანს არ დამცალდა, ქმარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა. ლაბორატორიაში, სადაც ის მუშაობდა, რაღაც მომწამვლელმა აირმა გაჟონა და მასთან ერთად, კიდევ ორი თანამშრომელი დაიღუპა. მე და ჩემს შვილს, ბიჭები ყურადღებას გვაქცევდნენ, ბავშვის ასაკის გამო, მუშაობას ვერ ვახერხებდი, მთლიანად მათზე ვიყავი დამოკიდებული და მართლაც, ისინი არაფერს მიჭირვებდნენ. ახლა კი, ვიღაცამ ერთ-ერთი მეგობარი სკვერში, თავში ქვის ჩარტყმით მოკლა, ქვაც იქვე ეგდო და რაც მთავარია, იქვე ეგდო მეორე მეგობრის სანთებელა, რომელსაც მისი სახელი აწერია, ვერცხლისაა, ათასჯერ მაქვს ნანახი. ჰოდა, მარტივად გადაწყვიტეს, რომ მკვლელი ისაა და დააკავეს. ბევრი რამის მიუხედავად, რასაც სამწუხაროდ ვერ ვიტყვი, ის მკვლელი არაა, არ და ვერ გაიმეტებდა მეგობარს მოსაკლავად და თუნდაც მისდამი მადლიერების ნიშნად, მინდა სიმართლე დაადგინოთ და უდანაშაულო კაცი გაათავისუფლოთ“, – ამბობდა ქალი.

ის, რომ მთავარი ეჭვმიტანილი ქალს მომხდარიდან ათ წუთში შეხვდა, თითქოს ბევრს არაფერს ნიშნავდა, მაგრამ მანქანით კი არა, თვითმფრინავით რომ ყოფილიყო, იმ მანძილის დაფარვას ათ წუთში მაინც ვერ მოახერხებდა. იყო თუ არა ეს გარემოება ძიების ახლიდან დაწყების საფუძველი? ოფიციალურად იყო, მაგრამ გამომძიებელს ეზარებოდა, რადგან სხვა სამხილი, ან სხვა ეჭვმიტანილი საქმეში არ მოიძებნებოდა. ამის მიუხედავად, საქმე ძიებაში ისევ დაბრუნდა, ძალიან მალე სამართალდამცავები დარწმუნდნენ, რომ დაკავებული მკვლელი არ იყო და თუ ამ საქმესთან არც შეხება ჰქონდა, ყველაზე დიდი, რაც შეიძლებოდა ექნა, ვინმე დაექირავებინა მეგობრის მოსაკლავად, რაც ნაკლებად სავარაუდო იყო. ჰო, კიდევ არანაკლებ მნიშვნელოვანი დეტალი – როგორც მეგობრები და ოჯახის წევრები ამბობდნენ, გარდაცვლილს მუდმივად თან ჰქონდა მოოქროვილი პორტსიგარი, რომელიც ვერსად იპოვეს და გაჩნდა ვერსია, რომ ეს პორტსიგარი შეესაძლოა, მკვლელს წაეღო და მკვლელი ქურდი ყოფილიყო, რომელმაც ძვირფას ნივთს შემთხვევით მოჰკრა თვალი, მერე ქვის დარტყმის სიძლიერე ვერ განსაზღვრა. მოკლედ, გამოძიება განახლდა და ყოველი შემთხვევისთვის, პორტსიგარის მახასიათებლები იმ ადამიანებს ჩამოურიგეს, რომლებიც მოპარული ნივთებით იატაკქვეშეთში ვაჭრობდნენ და სამართალდამცავები ხელს მხოლოდ იმიტომ არ ჰკიდებდნენ, რომ მათი მეშვეობით არაერთი საქმე იხსნებოდა. პორტსიგარი არცერთ მათგანს არ შეუძენია, თუმცა ყველამ პირობა დადო, რომ აუცილებლად შეატყობინებდნენ, თუ ვინმე ამ ნივთს მიიტანდა.

სხვათა შორის, დაკავებულს მოკლული ბიჭის დედაც ადებდა ხელს, აქაოდა, მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე, სახლში მოგვივარდა და ჩემს შვილს სახეში ორჯერ დაარტყა, არადა, განუყრელი მეგობრები იყვნენ და ასეთი რამ არასდროს მომხდარაო. გამომძიებელმა დაკითხვაზე მეგობრის ცემის მიზეზი ვერ ათქმევინა, ახლა კი ხერხი იხმარა, მასთან საკანში მივიდა და უთხრა, თუ მეტყვი, მეგობარი სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე რატომ გალახე, გარეთ გაგიშვებ, თუ არა და, აქ მეყოლებიო.

„ძმაკაცის სიკვდილის შემდეგ, მის ცოლ-შვილზე ისე ვზრუნავდი, როგორც საკუთარზე. რა დასამალია, ის გოგო სამივეს გვიყვარდა და მან მე არ ამირჩია. ამის მიუხედავად, გულში არაფერი ჩამიდია და მეგობრობას ვაგრძელებდით. ჰოდა, ერთ დღესაც, მათთან მივედი, საჭირო ნივთები მივუტანე, ფულიც დავუტოვე და ქალმა მითხრა, ცოტა დავლიოთო. კონიაკს ვწრუპავდით, მაგრამ ორმა ჭიქამ გვარიანად დაათრო, ისე დაათრო, რომ გადავწყვიტე, დედამისისთვის დამერეკა, ბავშვისთვის რომ მიეხედა. სანამ ვრეკავდი, კიდევ დალია და თავს ვეღარ აკონტროლებდა. სწორედ მაშინ მითხრა, სანამ დავორსულდებოდი, ჩვენი მესამე მეგობარი მოვიდა სტუმრად, გათიშული მთვრალი იყო, ქმარი სახლში არ იმყოფებოდა და გამაუპატიურაო. ამან ქმარს შიშით ვერაფერი უთხრა, თუმცა მომხდარიდან ორ კვირაში გაიგო, რომ ორსულად იყო და რეალურად, არც იცოდა, ბავშვი ვისგან ჰყავდა, არც აინტერესებდა, ბავშვით ბედნიერი იყო. სწორედ ამიტომ დავარტყი ხელი მეგობარს, რა ვიცოდი, თუ სამ დღეში მოკლავდნენ? მოსაკლავი კი იყო, მაგრამ მე არ მომიკლავს“, – დაასრულა მონოლოგი დაკავებულმა და გამომძიებელმაც გაუშვა, რადგან მისი დაკავების საფუძველი აღარ ჰქონდა.

გამომძიებლები იმ ქალთან წავიდნენ, რომლის გამოც გამოძიება ახლიდან დაიწყო და მან ყველაფერი დაადასტურა, თუმცა ისიც თქვა, არანაირი სურვილი არ მაქვს გავიგო, ვისგან მყავს შვილი, რადგან ის მაინც ჩემი ქმრის შვილად დარჩებაო. ძალოვნებს მეტი სათქმელი არ ჰქონდათ და ძიება განაგრძეს, თუმცა ხელჩასაჭიდი საერთოდ არაფერი იყო. ქვა, რომლითაც ბიჭი მოკლეს, კი იპოვეს, თუმცა უდიდესი ალბათობით, კაცს, რომელმაც მსხვერპლს ქვა ჩაარტყა, ხელთათმანები ეკეთა, რადგან მასზე კვალი არ იყო და როგორც წესი, ასეთ დროს, ქვაზე კანის ნაწილაკები რჩება ხოლმე. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ გაუხსნელი დარჩებოდა და ამ დროს, განყოფილებაში დარეკეს – ვიღაცამ გამოძიებისთვის საინტერესო პორტსიგარი ჩააბარა. როგორც წესი, ნაქურდალი ნივთების მყიდველები, ნივთების გამსაღებლებს, პასპორტსა და პირად მონაცემებს არ სთხოვდნენ, მეტიც, ბევრი მათგანის სახელიც კი არ იცოდნენ და მხოლოდ მეტსახელებით იცნობდნენ. ასე იყო ამ შემთხვევაშიც – პირი, რომელმაც მოკლულისთვის მოპარული პორტსიგარი ჩააბარა, ნაქურდალის მყიდველისთვის ცნობილი იყო როგორც „ცენცო“. ეს კრიმინალი სამართალდამცავებისთვის კარგად იყო ცნობილი და ამიტომ, მისი დაკავება პრობლემას არ წარმოადგენდა. მასთან სამი ოპერმუშაკი წავიდა, პრობლემა არ იქნება, ფიზიკურად ძლიერი არ არისო და მართლაც, ის მარტივად დააკავეს. განყოფილებაში, ყოველი შემთხვევისთვის, მოიყვანეს ის ქალიც, რომელიც მასთან ერთად, სახლში იმყოფებოდა.

საჭირო იყო, დაკავებული აწ უკვე ყოფილ ბრალდებულს ენახა, ეგებ, მიმხვდარიყო, რა უნდოდა „ცენცოს“ მისი მეგობრისგან და რის გამო შეიძლებოდა, მოეკლა? ყოფილი ბრალდებული განყოფილებაში მივიდა, სავარაუდო მკვლელს ყურადღებით დააკვირდა და თავი გაიქნია, პირველად ვხედავო. ამ დროს ოთახში დაკავებულის სახლში მყოფი გოგონა შემოიყვანეს და ყოფილმა ბრალდებულმა მას გაოცებით შეხედა, – „შენ აქ რა გინდა?!“ მერე კი, გამომძიებელს მიუბრუნდა და ჩუმად ჩაილაპარაკა – „ჩემი და არის ეს გოგო და აქ რატომაა, ან ბორკილები რატომ ადევს?“ გამომძიებლები მასზე არანაკლებ გაოცდნენ და გოგონა ოთახიდან მაშინვე გაიყვანეს, შემდეგ კი, დაკავებულს მიუბრუნდნეენ და უთხრეს, თუ გინდა, სასჯელი ოდნავ მაინც შეგიმსუბუქდეს, ყველაფერი თქვი, ხომ იცი, იმ გოგოს მაინც ყველაფერს დავაფქვევინებთო.

„ეს გოგო ჩემი საცოლეა, უფრო სწორად, ახლაა საცოლე, თორემ თავიდან ყურადღებას არ მაქცევდა. მერე, როცა თითქოს შემიყვარა, მითხრა, ერთი ბიჭი მოსვენებას არ მაძლევს, ჩემს გაუპატიურებასაც ცდილობდა და ეგებ, მომაშოროო. ის ბიჭი საქმის გასარჩევად დავიბარე, მოვიდა და როცა ვუთხარი, რა მინდოდა, გაეცინა, შემომაგინა და წასვლა დააპირა. სწორედ მაშინ ჩავარტყი ქვა და რომ დაეცა, ჯიბიდან პორტსიგარი გადმოუვარდა. ავიღე და გავიქეცი, მერე კი... არ ვიცოდი, თუ დაკავებული გამოუშვეს, თორემ პორტსიგარს არ გავყიდდი“, – თქვა მან.

გოგოს დაკითხვიდან კი გაირკვა, რომ ძმის მეგობარი მასზე მართლა იწევდა, თუმცა ამის შესახებ ძმას ვერ ეტყოდა, რადგან ეგონა, რომ ის არ დაუჯერებდა. მერე კი, როცა ძმა დაიჭირეს, ხმის ამოღება ვეღარ გაბედა, რა უნდა ეთქვა, ეგ ბიჭი ჩემმა ძმამ კი არა, საქმრომ მოკლაო? სასამართლომ დაკავებულს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბათო ჯაფარიძე

ფილმი „გაქცეული პატარძალი“, ალბათ, ყველას გაქვთ ნანახი (თუ არ გაქვთ, ნახეთ). დაახლოებით, ასეთი რამ მოხდა საქართველოში მაშინ, როცა ქორწილისთვის არავის ეცალა, რადგან ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და შესაბამისად, ქორწილის გადახდაც საშარო იყო – იქ ყველა იარაღით დადიოდა და ქართული ქორწილის „ხიბლი“ ჩხუბისა და დაჭრის გარეშე, ძნელად ჩაივლიდა. იყო მეორე საშიშროებაც – სიძე-პატარძალს, შესაძლოა, რომელიმე საძმოს წევრები დადგომოდნენ და ქორწილში შესული ფული წაერთმიათ. ჰო, ასეთებიც ხდებოდა და ქორწილს ვინ ჩივის, გასვენებაში აღებული თანხის გამოც დაუყაჩაღებიათ ოჯახები.

ქორწილის ღამეს პატარძალი გაქრა

სტუმარი „საიქიოდან“ და ჰოლივუდური ფილმის ქართული რიმეიკი

მილიციის განყოფილებაში 40 წლის კაცი მივიდა და განაცხადა, რომ ცოლი დაკარგა. ჰო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, დაკარგა.

„ჩემთვის მცირე ბიზნესი მაქვს, სამ „ბუტკას“ ვამუშავებ და ადვილი მისახვედრია, რომ თანამშრომლები ქალები მყავს. ორ ცვლაში მუშაობენ და შესაბამისად, ექვსი გოგონა დავასაქმე. მათგან ერთ-ერთი მომეწონა, მერე შემიყვარდა და მშობლების ნატვრაც ახდა, დაოჯახება გადავწყვიტე. ქორწილი ვიწრო გარემოში მქონდა, მხოლოდ ძალიან შინაურებს დავუძახე, არ არის ახლა პომპეზურობის დრო და პირველი ღამე სასტუმროში უნდა გაგვეტარებინა. ცოლმა მითხრა, თავს ცუდად ვგრძნობ, იქნებ, ძილის საშუალება მომცეო და დავთანხმდი – არც იმ ასაკში ვარ, ქალზე გადავირიო და ცოლს ხომ პატივი უნდა სცე. სასტუმროს ნომერში დავტოვე და წავედი, სხვა სასტუმროში ავიღე ნომერი, რადგან ჩავთვალე, რომ ღელავდა, რომ პირველი ღამის შიში ჰქონდა. დილით დავბრუნდი, თუმცა მითხრეს, რომ ჩემი გასვლიდან, დაახლოებით, 10 წუთში, ისიც წავიდა და... გაქრა. მე მგონია, რომ გაიტაცეს, მოტყუებით გაიყვანეს გარეთ და ახლა ფულს მომთხოვენ. ამიტომ მოვედი თქვენთან, გთხოვთ, ცოლი მომაძებნინეთ“, – კაცი აშკარად სასოწარკვეთილი იყო.

აუცილებელი გახლდათ, ყველა სტუმრის დაკითხვა, რომელიც იმ დღეს ქორწილში იყო და მათი რიცხვი 25-ს არ აღემატებოდა. სიძემ ისიც თქვა, სპეციალურად ამ დღისთვის, ფოტოგრაფი მყავდა დაქირავებული, აპარატს წამდაუწუმ აჩხაკუნებდა და ეგებ, ფოტოებიც დაათვალიეროთ და რამეში გამოგადგეთო. ფოტოების გარდა, მამაკაცმა გამოძიებას ვიდეოკასეტაც მისცა, რომელზეც, ძირითადად, სუფრა იყო გადაღებული.

„ამ ფოტოებზე ერთი უცნაური რამ ჩანს. პატარძალი ძალიან ბედნიერია მაშინ, როცა სახლიდან გადიან, ბედნიერია ეკლესიაში, ბედნიერია ეკლესიიდან გამოსვლის შემდეგ, მაგრამ სახე რადიკალურად ეცვლება მას შემდეგ, რაც ისევ შინ დაბრუნდნენ, ეზოში გადაღებულ ფოტოებსა და შემდეგ უკვე, სახლში, სუფრაზე გადაღებულ კადრებში, მისი უბედური სახეა აღბეჭდილი“, – თქვა გამომძიებელმა და დაკითხვაზე ისევ სიძე დაიბარეს.

„ჰო, ეგ მეც შევნიშნე და ძალიან გამიკვირდა. მართლა ბედნიერი და მხიარული იყო, მაგრამ რა მოხდა მას შემდეგ, რაც უკან დავბრუნდით, ვერ გეტყვით. ის რადიკალურად შეიცვალა, აღარც კი გაუღიმია, ჩავთვალე, რომ სწორედ მაშინ აღიქვა გათხოვება და ცოტა „დაიგრუზა“. უცხო არავინ ყოფილა, არც არავინ შემიმჩნევია და არც არავინ გამოლაპარაკებია ისეთი, ვისაც არ ვიცნობ, თან მუდმივად გვერდით ვედექი, რამე რომ მომხდარიყო, კი დავინახავდი და გავიგონებდი“, – თქვა კაცმა.

დაიწყო ქორწილის სტუმრების დაკითხვა, მაგრამ საინტერესოს არავინ არაფერს ამბობდა. ერთი ეგ იყო, მეჯვარე გახლდათ ცოტა დამფრთხალი და სამართალდამცავებმა ჩათვალეს, რომ მან რაღაც იცოდა და ბოლომდე არ ამბობდა. პოლიციელებმა ფოტოები დაულაგეს წინ და სათითაოდ ხელს ადებდნენ სტუმრების სახეებს, აინტერესებდათ, მოხდებოდა თუ არა ცვლილება ამა თუ იმ სტუმრის დანახვისას. გოგონას რეაქცია არავისზე ჰქონია, მაგრამ როგორც კი ერთ-ერთ სურათს დახედა, მაშინვე ფერი წაუვიდა. გამომძიებელი ფოტოს დასწვდა, მასზე აღბეჭდილი სტუმრები გავლილი ჰქონდა და... მაშინ, რამ შეაკრთო მეჯვარე ისე, რომ ფერი დაკარგა?

„პატივცემულო, ამ ფოტოზე, უკანა კადრში ვიღაც ბიჭი ჩანს, ის სტუმარი აშკარად არ არის, უბრალო გამვლელს ჰგავს, მაგრამ ნახეთ, სხვა ფოტოზეც არის, კიდევ არის და... ყველა ფოტოში, მხოლოდ პატარძალს უყურებს“, – თქვა ერთ-ერთმა ოპერმუშაკმა.

სიძემ ფოტოზე აღბეჭდილი ბიჭი ვერ იცნო, ისე კი გაიხსენა, რომ უცხო კაცი თვალში მასაც მოხვდა, ის სადარბაზოსთან იდგა და მაყრიონს ათვალიერებდა, ამიტომ უბრალო ცნობისმოყვარედ ჩათვალა. ისევ მეჯვარე დაიბარეს, ამჯერად, პირდაპირ იმ უცხო მამაკაცის ფოტოს დაადეს თითი და ჰკითხეს, ამ ბიჭს ხომ არ იცნობო? უარყოფითი პასუხის მიუხედავად, სამართალდამცავები მიხვდნენ, რომ მეჯვარე იმ უცხოს კარგად იცნობდა და სწორედ ეს იყო საქმის გასაღები. მთავარი გახლდათ, გოგოს ეთქვა, ვინ იყო ეს ბიჭი და შემდეგ უკვე, საქმეს ძალოვნები მარტივად მიხედავდნენ. გოგონა კი გაჯიუტდა, მაგრამ, როცა წინ ბორკილები დაუდეს, ალაპარაკდა.

„ეს ბიჭი ჩემი დაქალის საქმრო იყო. შემდეგ, ექსპედიციაში წავიდნენ რუსეთის რომელიღაც ქალაქში, სადაც რაღაც მღვიმე უნდა შეესწავლათ. მერე გავიგეთ, რომ მღვიმეში ყოფნის დროს, მიწა ჩამოიშალა და ექსპედიციის ყველა მონაწილე დაიღუპა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ჩემმა მეგობარმა გათხოვება და ხომ წარმოგიდგენიათ, რა დაემართებოდა, როცა ქორწილის დღეს, უკან რომ დავბრუნდით, ეს საქმრო სადარბაზოსთან იდგა და უყურებდა. მერე რა მოხდა, წარმოდგენა არ მაქვს, არც ის ვიცი, ის ბიჭი სად გაქრა, მისი მხოლოდ სახელი და გვარი ვიცი, სად ცხოვრობს, არ უთქვამს“, – განაცხადა მეჯვარემ.

სახელთა და გვარით ბიჭს ადვილად მიაგნეს და საინტერესო ისტორიაც მოისმინეს.

„მართლაც, ექსპედიციაში ივყავი და იქიდან რომ დავბრუნდებოდი, ცოლიც უნდა მომეყვანა. უბედური შემთხვევა მოხდა, მთელი ექსპედიცია დაიღუპა, მხოლოდ მე გადავრჩი, მაგრამ ამას გადარჩენაც არ ერქვა, გვამების გვერდით, ორ კვირაზე მეტი გავატარე, ხრწნის სუნი მკლავდა, მაგრამ ვერსად გავრბოდი. საბოლოოდ, მაშველებმა მიპოვეს და მათი დანახვა იმდენად გამეხარდა, სტრესისგან გონება დავკარგე და როგორც მითხრეს, კომაში ვიყავი. მერე, როცა აზრზე მოვედი, ვერაფერს ვიხსენებდი და მეხსიერება ნელ-ნელა, სპეციალური თერაპიებით დამიბრუნდა. მაშინ გამახსენდა, რომ საცოლე მყავდა, წამოვედი, მოვიკითხე და მითხრეს, დღეს ქორწილი აქვსო. სულ რაღაც ერთი დღე დამაგვიანდა, ერთადერთი დღე. მინდოდა გამოვლაპარაკებოდი, მაგრამ ქორწილის დღეს არ გამოვიდა ეგ ამბავი. მერე სასტუმრომდე მივყევი და რომ დავინახე, როგორ ავიდნენ ნომერში, შინ წავედი, მეზობელს დავუძახე და დავთვერი. ახლა კი ვიგებ, რომ ის გაქრა და წარმოდგენა არ მაქვს, სად შეიძლება ვეძებო. ერთ რამეს კი ვხვდები, გაქრა იმიტომ, რომ მე ვუყვარვარ“, – განაცხადა მთავარმა ეჭვმიტანილმა.

გოგონა, უბრალოდ, გაიქცა და თავი ვინმეს შეაფარა, ეს ვინმე ძალიან ახლობელი უნდა ყოფილიყო. მისი საახლობლო სია კი, არცთუ დიდი გახლდათ და საბოლოოდ, სამართალდამცავები შეთანხმდნენ – მისი ადგილსამყოფელი მეჯვარემ უეჭველად იცის, მაგრამ გვიმალავსო და ამიტომ, მასზე თვალთვალი დაწესდა. თვალთვალმა შედეგი ვერ მოიტანა, რადგან მეეჯვარე სამსახურში დადიოდა, არსად არავის სტუმრობდა და მისი მთავარი მარშრუტი სწორედ სახლი და სამსახური იყო. ამის მიუხედავად, ხუთდღიანი თვალთვალის შემდეგ, გამოცდილმა ოპერმუშაკმა გამომძიებელს დაბეჯითებით უთხრა – გოგონა მეჯვარესთან იმალება, რადგან პურის ის ოდენობა, რომელსაც ჩვენი ობიექტი ყიდულობს, აშკარად ბევრია ერთი ადამიანისთვის და ამდენ პურს რომ ჭამდეს, საკმაოდ მსუქანი იქნებოდა და არა ისეთი გამხდარი, როგორც ახლაა. იმავე საღამოს, გამომძიებელმა მეჯვარის სახლის კარზე დააკაკუნა. როცა გოგონამ კარი გააღო და ძალოვანი დაინახა, მოულოდნელობისგან შეჰკივლა და ამით თავი გასცა. გაქცეული პატარძალი სწორედ მასთან იყო.

„რა უნდა ვთქვა? მე მთელი ცხოვრება მხოლოდ ის მიყვარდა, ვინც გამოვიგლოვე და დავასაფლავე. ქორწილის დღეს გამომეცხადა და ყველაფერი თავდაყირა დადგა. არ შემიძლია, ის ცოცხალი იყოს და მე სხვისი ცოლი მერქვას, მაგრამ ვერც იმას ვხვდები, როგორ უნდა მოვიქცე, ქმრისაც მერიდება, იმისი, ვისაც ერთგულება შევფიცე და ვინც არაფერი დააშავა, სიკეთის მეტი, ჩემთვის არაფერი გაუკეთებია, მე კი... მე მასთან ცხოვრება არ მინდა, არ შემიძლია“, – ზლუქუნებდა პატარძალი.

ყველაფერი იმაზე მარტივად დასრულდა, ვიდრე სამართალდამცავებს და თავად პატარძალს წარმოედგინა. როგორც კი მომხდარის შესახებ გაიგო, კაცმა განქორწინებაზე განცხადება შეიტანა და ხმამაღლა თქვა, ქალი, რომელიც ჩემთან იცხოვრებს და სხვაზე იფიქრებს, არ მჭირდებაო.

გარდაბანში, დის განზრახ მკვლელობის ფაქტზე, პროკურატურამ ძმას ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ, პირს, რომელმაც გარდაბანში, დას ჯერ ავტომანქანა შეაჯახა, შემდეგ კი დანით სიცოცხლისთვის საშიში, მძიმე ხარისხის დაზიანებები მიაყენა, ბრალდება წარუდგინა.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, დანაშაული სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული დას პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებას უზღუდავდა, ასევე, დის მეუღლესთან დაშორების ფაქტს ოჯახის ღირსების შელახვად მიიჩნევდა. აღნიშნულის გამო, 16 მაისს, ბრალდებულმა გარდაბანში, დას ჯერ ავტომანქანა შეაჯახა, შემდეგ კი დანით სიცოცხლისთვის საშიში, მძიმე ხარისხის დაზიანებები მიაყენა. ბრალდებული შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული დაზიანებების შედეგად, ქალი ადგილზე გარდაიცვალა.

პროკურატურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა, 109-ე მუხლის „თ“, „კ“ და „მ“ ქვეპუნქტებით (განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობა გენდერის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულისთვის, აღკვეთი ღონისძიების სახით, პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

როგორც პროკურატურაში აცხადებენ, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის საწინააღმდეგო აქციის რამდენიმე მონაწილე სასამართლომ 500-500 ლარით დააჯარიმა

თბილისის საქალაქო სასამართლოში, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის წინააღმდეგ აქციის მონაწილეების სასამართლო პროცესები გაიმართა.

აქტივისტების განცხადებით, მათ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას – გზის უკანონო გადაკეტვას ედავებიან. მათი ნაწილის სასამართლო პროცესები გადაიდო, ხოლო აქტივისტები დააჯარიმეს.

„გირჩი – მეტი თავისუფლების“ წევრის, ბორის ჩელე ყურუას განცხადებით, ის 500 ლარით დააჯარიმეს. მისივე თქმით, ადმინისტრაციულ სასამართლოს „ქართული ოცნება“, ტრადიციულად, პოლიტიკოსებისა და აქტიური მოქალაქეების რეპრესირებისთვის იყენებს.

„ჩემი პროცესი ძალიან მალე დასრულდა. 500 ლარით დამაჯარიმეს, ეს მაქსიმუმია, რასაც 174-ე პრიმა მუხლი ითვალისწინებს. რაც შეეხება მტკიცებულებებს, ჰქონდათ ერთი ფოტო, სადაც მე ვჩანვარ და არ ჩანს, სად ვარ და ერთი ვიდეო, რომელშიც უბრალოდ გზაზე გადავდივარ. მაქსიმუმი, რასაც ეს ამტკიცებს, არის ის, რომ ვიყავი აქციაზე და გზა უკანონოდ გადავკვეთე. არ ამტკიცებს იმას, რომ გზის გადაკეტვაში ვმონაწილეობდი. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ადმინისტრაციულ სასამართლოს „ქართული ოცნება“, ტრადიციულად, პოლიტიკოსებისა და აქტიური მოქალაქეების რეპრესირებისთვის იყენებს. მეორე, შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად მუშაობს იმ ადამიანების თვალთვალზე, რომლებიც აქციაზე იმყოფებიან და პოზიციას აქტიურად გამოხატავენ, მაგრამ არ მუშაობს ჩვენზე თავდამსხმელები რომ დააკავონ და ისინი ამოიცნონ. ჯერაც არ გაურკვევიათ, ვინ აწამა და ვინ მოეპყრო დავით ქაცარავას არაადამიანურად. ჩვენი ხელისუფლების მთელი ძალა მიმართულია იმისკენ, როგორმე, ჩვენი აზრის ასე საჯაროდ თქმა ვეღარ მოვახერხოთ. როგორც ხედავთ, ჩვენდა საბედნიეროდ, ამას ვერ ახერხებენ და ვერც მოახერხებენ“, – აღნიშნა ბორის ჩელე ყურუამ, „მთავარ არხთან“.

გარდა ამისა, როგორც ერთ-ერთმა აქტივისტმა, ლაზარე ორდენიძემ განაცხადა, ერთადერთი მტკიცებულება, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს, არის ის, რომ აქციის მონაწილეები გზის სავალ ნაწილზე გადავიდნენ.

„ერთადერთი მტკიცებულება ის აქვთ, რომ აქციის მონაწილეები გზის სავალ ნაწილზე გადავიდნენ. პირადად მე, საერთოდ არ ვჩანვარ კადრებში. გვეუბნებიან, რომ არ ჩანს მსვლელობა, მაგრამ მსვლელობაც რომ გამოჩენილიყო და იმ დღეს იყო მსვლელობა ევროპის მოედნისკენ, ისინი გვეტყოდნენ, რომ ფეხით სავალ ნაწილზე (ტროტუარზე) უნდა გავნაწილებულიყავით, ჯაჭვის სახით და წავსულიყავით. ხელისუფლება ცდილობს, ადამიანები დაგვაჯარიმოს და ამით შეგვაშინოს, რათა აღარ გავიდეთ აქციებზე“, – აღნიშნა მან.

აქციის ერთ-ერთი მონაწილის თქმით, მისი და იმ მოქალაქეების სასამართლო პროცესები, რომლებიც ერთ დარბაზში უნდა ჩატარებულიყო გადაიდო და მათ იციან, რომ სასამართლო მათთვის გამამართლებელ განაჩენს არ მიიღებს.

„არ ვიცი, 24 აპრილს რა დავაშავე. დღესაც მაგისთვის მოვედი, რომ გამეგო, ვიყავი თუ არა დამნაშავე, მაგრამ მე და ყველა იმ ადამიანს, რომლებსაც ერთ დარბაზში გვქონდა სასამართლო, პროცესები გადაგვიდეს, ისე, რომ არც დაწყებულა. ვიცით, რომ ჩვენთვის გამამართლებელი და რეალური განაჩენი არ გამოვა, მაგრამ აუცილებლად დავესწრები პროცესს და იმას მაინც მოვისმენ, რა დავაშავე 24 აპრილს“, – განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, თბილისის საქალაქო სასამართლოსთან.

გიორგი სარდალაშვილი მსოფლიოს ჩემპიონია

შვიდი წლის წინ, სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო, სადაც 13 წლის ბავშვი ამბობდა, მე ძიუდოსთვის მაქვს თავი გადადებული და ყველაფერს გავაკეთებ, მსოფლიოს ჩემპიონი რომ გავხდეო. სამი-ოთხი წლის შემდეგ, ამ ბავშვმა მსოფლიოს ჩემპიონატი მართლა მოიგო, ოღონდ, ახალგაზრდებში და ნელ-ნელა, ეროვნულ ნაკრებსაც გაუშინაურდა. მერე იყო აბუ-დაბის გრანდ სლემი, უკვე დიდებში მოგებული და აგერ, ისევ აბუ-დაბი, იგივე დარბაზი, იგივე გარემო და გიორგი სარდალაშვილი ბავშვობის ოცნების ასახდენად მიდის.

მოდით, ვაღიაროთ, ეს შემდეგ ყველამ თქვა, გიორგისგან ოქროს არავინ ელოდა. ბრინჯაოს მედალიც რომ აეღო, ყველა ტაშს დაუკრავდა, მაგრამ თავად სარდალაშვილი, საბედნიეროდ, სულ სხვაგვარად ფიქრობდა. მან ერთი-მეორეს მიყოლებით დამარცხა მეტოქეები, განსაკუთრებით, ნახევარფინალში გაუჭირდა, სადაც იაპონელ მოწინააღმდეგეს აჯობა, ფინალში კი... ფინალი ცალკე სათქმელი თემაა, ფილმის გადაღებაც კი შეიძლება. დამატებით დროში, მეტოქემ სარდალაშვილი შებოჭა და შებოჭა ისე, რომ იმ სიტუაციიდან თავის დაღწევა წარმოუდგენლად ჩანდა, თუმცა გიორგიმ საკუთარ თავს აჯობა და შებოჭვის მეცხრე წამზე, სიტუაციიდან გამოძვრა. კიდევ წამიც და... ჰო, ერთი წამი და ჩემპიონი სხვა იქნებოდა. როგორც ჩანს, სწორედ ეს მომენტი იყო გარდამტეხი და გადამწყვეტი, რადგან ქართველს აშკარა ფსიქოლოგიური უპირატესობა ჰქონდა, გდებაც გააკეთა და 20 წლის ასაკში, მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალიც დაიკიდა მკერდზე.

კიტეიშვილი ავსტრიის ჩემპიონი და საუკეთესო ფეხბურთელია

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა ოთარ კიტეიშვილმა, „სთურმთან“ ერთად, ავსტრიის ჩემპიონატი მოიგო. ეს მარტივი არ გახლდათ, ყველაფერი ბოლო ტურში გაირკვა და როგორც იქნა, დაემხო ზალცბურგის ათწლიანი ჰეგემონია. ზედიზედ ათი სეზონის განმავლობაში, ჩემპიონები, სწორედ „ზალცბურგის“ ფეხბურთელები ხდებოდნენ, ახლა კი „შტურმმა“ ოქროს დუბლი შეასრულა და ჩემპიონობასთან ერთად, ქვეყნის თასიც დაისაკუთრა.

თუ რა წვლილი მიუძღვის ამ ყველაფერში კიტეიშვილს, იქიდანაც ჩანს, რომ ის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. არავინ მალავს, რომ ქართველი შემტევი გუნდის მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო და საუკეთესოს პრიზი სამართლიანადაც მოიპოვა. ცნობისთვის, კიტეს კლუბთან კონტრაქტი 1 ივნისს უმთავრდება და მხარეები, ჯერჯერობით, ახალ ხელშეკრულებაზე შეთანხმებას ვერ ახერხებენ. „შტურმს“ მისი შენარჩუნება კი სურს, მაგრამ ავსტრიის საუკეთესო ფეხბურთელის საკუთარ რიგებში ხილვა, ტოპ-5-ის გუნდებსაც უნდათ და სავარაუდოდ, ოთარი ევროპის ჩემპიონატს დაელოდება, ნაკრების ძირითადში მას გარანტირებული ადგილი აქვს და თუ იქაც თავს გამოიჩენს, ძალიან სარფიან კლუბსა და კონტრაქტს გამოჰკრავს ხელს.

მიქაუტაძე დამარცხდა, მაგრამ იბრძოლებს

საფრანგეთის ჩემპიონატი დასრულდა. ბოლო ტურში, გიორგი მიქაუტაძის „მეცს“ ქვეყნის ჩემპიონი, „პარი სენ ჟერმენი“ ესტუმრა. სტუმრებმა 12 წუთში, ორი გოლი გაიტანეს და შეხვედრა მშვიდად მიიყვანეს სასურველ დასასრულამდე. რაც შეეხება ქართველის გარჯას, მან სრული 90 წუთი ითამაშა, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოახერხა. მისი დარტყმული კეილორ ნავასმა ორჯერ მოიგერია და განსაკუთრებით აღსანიშნავი მეორე დარტყმაა, როცა გიომ მცველი მოატყუა, მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ვერ აჯობა.

სეზონის შედეგების მიხედვით, „მეცმა“ მე-16 ადგილი დაიკავა, რაც იმას ნიშნავს, რომ უძლიერესთა შორის დასარჩენად, ქვედა დივიზიონის კლუბთან მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. თუ მიქაუტაძის გუნდს რამე ამბიცია და სამომავლო გეგმები აქვს, ეს შეხვედრა აუცილებლად უნდა მოიგოს და ქომაგების, თუ სამწვრთნელო შტაბის მთავარი იმედი, სწორედ ქართველი ფორვარდია.

ქართველმა მილიარდერმა ინგლისური კლუბი იყიდა

ყაზახეთში მოღვაწე ქართველმა მილიარდერმა, მიხეილ ლომთაძემ ინგლისური კლუბი იყიდა. „უიქომბ უონდერერსი“, ინგლისის რანგით მესამე ლიგაში თამაშობს, წლევანდელი სეზონი მეათე ადგილზე დაასრულა და თუ ახალ მფლობელს დავუჯერებთ, მომავალი სეზონიდან, ზედა ლიგაში ასვლისთვის იბრძოლებს. ლომთაძემ კლუბის აქციების 90% შეიძინა და ინგლისურ მედიასთან კომენტარიც გააკეთა.

„ჩვენ გვინდა, ავაშენოთ ფინანსურად ძლიერი კლუბი და გრძელვადიან პერსპექტივაში, წარმატებას მივაღწიოთ, როგორც მოედნის შიგნით, ისე – მის გარეთ“, – განაცხადა მან.

„ფორბსმა“, 2023 წელს, ლომთაძის ქონება 3.7 მილიარდ დოლარად შეაფასა, წლევანდელი მონაცემებით, მისი ქონება 5.2 მილიარდს გაუტოლდა.

„მამა მია“ – კვარაცხელიას მორიგი შედევრი

გასულ კვირას, ხვიჩა კვარაცხელიას „ნაპოლი“ ფლორენციაში, „ფიორენტინას“ სტუმრობდა. რაღა თქმა უნდა, ჩვენ ქართველის გარჯა გვაინტერესებდა, მით უმეტეს, რომ მისი აგენტი, მამუკა ჯუღელი იტალიაშია და კონტრაქტის გახანგრძლივება-გაუმჯობესებაზე კლუბის პრეზიდენტთან, აურელიო დე ლაურენტისთან მოლაპარაკებებს აწარმოებს.

შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა და მისი შედეგი, როგორც ერთი, ისე მეორე გუნდისთვის, დიდად მნიშვნელოვანი არ იყო. ამის მიუხედავად, სწორედ აღნიშნული მატჩი მოექცა ჟურნალისტებისა და გულშემატკივრების ყურადღების ქვეშ. მასპინძელთა კარის მიმართულებით, საჯარიმო დარტყმა დაინიშნა და ბურთთან კვარაცხელია მივიდა. ქართველმა ლეგიონერმა, დაახლოებით, 30 მეტრიდან, იდეალური სიზუსტით გაუშვა ბურთი კარის ცხრიანში და არა მარტო სეზონის, არამედ, კარიერის ერთ-ერთი, ულამაზესი გოლი გაიტანა. სხვათა შორის, აქამდე კვარაცხელიას, იტალიაში, ჯარიმიდან გატანილი არ ჰქონდა, მას ჯარიმებს უბრალოდ არ არტყმევინებდნენ, ახლა კი... ახლა ყველამ იცის, რომ კვარას ჯარიმებსაც უნდა უფრთხილდნენ.

„მამა მია“ – სწორედ ასეთი შეძახილები ჰქონდათ იტალიელ კომენტატორებს და ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ ამ გოლით, კვარაცხელიამ, დე ლაურენტისს სერიოზული მესიჯი გაუგზავნა – აქაოდა, თუ სარფიან კონტრაქტს არ შემომთავაზებ, ახალ სეზონს, ახალ გუნდში დავიწყებო.

ზივზივაძემ სეზონი გოლით დახურა, მამარდაშვილს სამი გაუტანეს

საქართველოს ნაკრების ფორვარდმა ბუდუ ზივზივაძემ სეზონი გოლით დახურა. მისი გუნდი „ელვერსბერგს“ სტუმრობდა და სამი უპასუხო გოლიც შეაგდო, ანგარიში კი 52-ე წუთზე, ქართველმა ფორვარდმა გახსნა. ეს ზივზივაძისთვის ამ სეზონში გატანილი მე-12-ე გოლია და ბომბარდირთა დავაში, მან სწორედ მეთორმეტე ადგილი დაიკავა. მართალია, „კარლსრუე“ ბუნდესლიგაში ვერ აღზევდა, მაგრამ ჩვენებურს არაერთი მსურველი გამოუჩნდა და დიდი შანსია, მან ახალი სეზონი სწორედ ბუნდესლიგაში, ოღონდ სხვა კლუბში დაიწყოს.

მორიგი შეხვედრა ჩაატარა გიორგი მამარდაშვილის „ვალენსიამ“. ქართველი კიპერი, წესისამებრ, ძირითადში თამაშობდა და იმის მიუხედავად, რომ მეტოქემ 3 გოლი გაუტანა, გაშვებულ ბურთებში მისი დადანაშაულება ძნელია. თანაც, ესპანეთში, სეზონის დასრულებამდე, ერთი ტურია დარჩენილი და „ვალენსიას“ ფეხბურთელებისთვის აზრი არ აქვს, მოიგებენ თუ წააგებენ, ისინი ევროთასების საგზურის გარეშე დარჩნენ და არც ქვედა დივიზიონში გავარდნა ემუქრებათ, ეს კი, ფეხბურთელების ფსიქოლოგიაზე მოქმედებს. დამქანცველი სეზონის შემდეგ, ყველას ერთი სული აქვს, დასასვენებლად წავიდეს.

დეშამმა ნაკრები დარაზმა

რა ძნელი მისახვედრია, რომ მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის ფინალისტი, საფრანგეთის ნაკრები, ევროპის ჩემპიონატის მოგების ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია. იმის მიუხედავად, რომ ერთი შეხედით, ფრანგებს რთული ჯგუფი აქვთ (ნიდერლანდები, პოლონეთი, ავსტრია), ისინი უპირობო ფავორიტები არიან და არათუ ჯგუფიდან გასვლა, არამედ, კონტინენტის პირველობის მოგება აქვთ მიზნად. ჰოდა, ბევრს აინტერესებდა, რა არჩევანს გააკეთებდა დიდიე დეშამი და ფრანგთა ოდინდელმა ლეგენდარულმა კაპიტანმა, ახლა კი მთავარმა მწვრთნელმა, იმ ფეხბურთელთა სია დაასახელა, რომლებსაც კონტინენტის პირველობაზე წაიყვანს. შეგახსენებთ, რომ მიღებული ცვლილების თანახმად, 23-კაციანი განაცხადის ნაცვლად, მწვრთნელებს შეუძლიათ, 26-კაციანი განაცხადი გააკეთონ.

მეკარეები: ალფონს არეოლა („ვესტ ჰემი“, ინგლისი), ბრაის სამბა („ლანსი“), მაიკ მენიო („მილანი“, იტალია);

მცველები: ჟიულ კუნდე („ბარსელონა“, ესპანეთი), ბენჟამინ პავარი („ინტერი“, იტალია), იბრაჰიმა კონატე („ლივერპული“, ინგლისი), ვილიამ სალიბა („არსენალი“, ინგლისი), დაიო უპამეკანო („ბაიერნი“, გერმანია), ტეო ერნანდესი („მილანი“, იტალია), ბენჟამინ მენდი („რეალი“, ესპანეთი);

ნახევარმცველები: ნგოლო კანტე („ალ იტიჰადი“, საუდის არაბეთი), ანტუან გრიზმანი („ატლეტიკო“, ესპანეთი), ორელიან ჩუამენი, ედუარდო კამავინგა (ორივე „რეალი“, ესპანეთი), უორენ ზაირ-ემერი („პსჟ“), ადრიენ რაბიო („იუვენტუსი“, იტალია), იუსუფ ფოფანა („მონაკო“);

თავდამსხმელები: ბრედლი ბარკოლა, რანდალ კოლო მუანი, კილიან მბაპე, უსმან დემბელე (ოთხივე „პსჟ“), მარკუს ტურამი („ინტერი“, იტალია), კინგსლი კომანი („ბაიერნი“, გერმანია), ოლივიე ჟირუ („მილანი“, იტალია).

პრეზიდენტის დაღუპვა – რა შეიცვლება ირანისა და მსოფლიო პოლიტიკაში

მე-8 გვერდიდან

ებრაჰიმ რაისის შეერთებულმა შტატებმა 2019 წელს სწორედ ამ მოვლენებთან კავშირის გამო დაუწესა სანქციები, – „მისი ზედამხედველობის გამო ... ირანში პატიმრების წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის გამო, ამპუტაციის ჩათვლით“.

საუბარი იყო არასრულწლოვანთა სიკვდილით დასჯაზეც.

რაისის გზა პოლიტიკაში

თეირანის მთავარ პროკურორად რაისი 1989 წლიდან 1994 წლამდე დარჩა.

მომდევნო ათი წელიწადი იგი განაგებდა „სახელმწიფო ინსპექციას“, რომელიც სასამართლო სისტემის ნაწილია.

2004 წელს, სასამართლო სისტემის გავლენიანმა ხელმძღვანელმა რაისი თავის მოადგილედ დანიშნა. 2014 წელს ებრაჰიმ რაისი ირანის გენერალური პროკურორი გახდა.

ორი წლის შემდეგ აიათოლა ალი ხამენეიმ იგი მაშადში მეჩეთისა და ირანის ერთ-ერთი უმდიდრესი ფონდის მმართველად დანიშნა.

2017 წელს, მან წარუმატებლად იყარა კენჭი საპრეზიდენტო არჩევნებში. ხამენეიმ არჩევნებში მარცხი იწვნია ჰასან როჰანთან. როჰანი შედარებით ზომიერ სასულიერო პირად ითვლებოდა, – პრეზიდენტის რანგში სწორედ მან მიაღწია თეირანის 2015 წლის ბირთვულ შეთანხმებას მსოფლიოს სახელმწიფოებთან.

2015 წლის ბირთვული შეთანხმების შედეგად ირანმა შეზღუდა თავისი ბირთვული პროგრამა, რის სანაცვლოდაც სანქციების გაუქმებას დაჰპირდნენ.

2021 წელს, რაისიმ კვლავ მიიღო მონაწილეობა არჩევნებში. მის ყველა პოტენციურად მნიშვნელოვან ოპონენტს აეკრძალა კენჭისყრაში მონაწილეობა.

რაისიმ 28,9 მილიონი ხმიდან თითქმის 62% მოიპოვა, რაც პროცენტულად ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ისლამური რესპუბლიკის ისტორიაში. ამომრჩეველთა აქტიურობა ძალიან დაბალი იყო.

რაისი ირანის პრეზიდენტი 2021 წლის აგვისტოდან იყო.

რაისი პრეზიდენტად

ებრაჰიმ რაისის პრეზიდენტობის დროს მკვეთრად გაიზარდა მოსახლეობაში უკმაყოფილება არა მხოლოდ ეკონომიკური, ასევე სოციალური პრობლემების და ადამიანის, მეტწილად ქალების, უფლებების უხეში დარღვევის გამო.

2022 წელს, მუსლიმური თავსაბურავის „არასწორად ტარების“ ბრალდებით თეირანში დააკავეს ქურთი ახალგაზრდა ქალი, მაჰსა ამინი, რომელიც საპატიმროში გარდაიცვალა.

ამინის სიკვდილს საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა მთელი ქვეყნის მასშტაბით, გაჩნდა მოძრაობა „ქალი, სიცოცხლე, თავისუფლება“.

დემონსტრაციების დროს რაისის ხელისუფლებამ დახოცა 500-მდე ადამიანი. 22 ათასამდე ადამიანი დააკავეს.

რაისის მმართველობის პერიოდში ირანმა გააღრმავა ურთიერთობები ჩინეთსა და რუსეთთან და გააძლიერა კონფრონტაცია დასავლეთსა და ისრაელთან.

მას შემდეგ, რაც 2024 წლის პირველ აპრილს ისრაელმა სირიაში ირანის საკონსულო დაბომბა, – რასაც შვიდი ადამიანის, მათ შორის ორი გენერლის სიცოცხლე ემსხვერპლა, – რაისი მხარს უჭერდა ისრაელზე საპასუხო თავდასხმას.

პასუხად ირანმა ასეულობით დრონითა და რაკეტით შეუტია ისრაელს, მაგრამ მოკავშირეების, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის დახმარებით ქვეყანამ თავდასხმა მოიგერია.

რაისის პრეზიდენტობისას, 2023 წლის 7 ოქტომბერს მოხდა ჰამასის – ირანის მხარდაჭერილი ჯგუფის – ტერორისტული თავდასხმა ისრაელზე. თავდასხმას ისრაელი-ღაზის მორიგი ომი მოჰყვა, რომელიც დღემდე გრძელდება.

რაისის პრეზიდენტობის პერიოდში ირანმა ურანის გამდიდრებაც გაზარდა.

რა შეიცვლება ირანის პოლიტიკაში

ექსპერტების თქმით, დიდი არაფერი.

„რაისის სიკვდილი, როგორც ასეთი, მნიშვნელოვნად არაფერს შეცვლის ირანის პოლიტიკაში“, – ამბობს ჰამიდრეზა აზიზი, „საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების გერმანული ინსტიტუტის“ (SWP) მკვლევარი.

„პრეზიდენტი რიგით მხოლოდ მეორეა ისლამური რესპუბლიკის ძალაუფლების ვერტიკალში და სახელმწიფოს სტრატეგიულ მიმართულებებს უზენაესი ლიდერი განსაზღვრავს“, – განმარტავს იგი.

ექსპერტების თქმით, მართალია, რაისის დაღუპვა ირანის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვან ცვლილებებს არ მოიტანს, თუმცა შესაძლოა, წარმოქმნას შიდა დაპირისპირება ძალაუფლებისათვის.

გარდა იმისა, თუ ვინ გახდება პრეზიდენტი, გასარკვევია, ვინ შეიძლება განიხილებოდეს ალი ხამენეის მემკვიდრედ უზენაესი ლიდერის როლში.

სანამ ვაკილი, ბრიტანეთის „საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტის“ შუა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის პროგრამის დირექტორი ამბობს: **„რაისი იყო ერთგული „ფუნქციონერი“, რომელიც უზენაესი ლიდერის სურვილებს ასრულებდა. [ირანში ახლა] არ არის ისეთი კანდიდატი, რომელიც ასე იდეალურად მოერგება ყალიბს“.**

ირანის კანონმდებლობით, საპრეზიდენტო არჩევნები მომდევნო 50 დღის განმავლობაში უნდა ჩატარდეს.

წინასწარი კანდიდატები არიან პარლამენტის სპიკერი მოჰამედ ბაღერი და სასამართლოს მეთაური ღოლამჰოსეინ მოსენი-ეჯეი.

ჰამიდრეზა აზიზის (SWP) თქმით, მომდევნო პრეზიდენტის ვინაობა, დიდი ალბათობით, განსაზღვრავს ხამენეის მემკვიდრეობის საკითხსაც. **„ასე რომ, ეს ყველაფერი მიგვიყვანს ძალიან დაძაბულ შიდაკონსერვატიულ დაპირისპირებამდე“,** – ამბობს იგი.

ტრანსგენდერობა ფსიქიკურ აშლილობად აღიარეს

სამხრეთ ამერიკული ქვეყნის – პერუს ხელისუფლებამ განკარგულება გამოსცა, რომელშიც ტრანსგენდერები და არაბინარული პერსონები ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანებად აღიარეს. დოკუმანტში მითითებულია, რომ მათ უფასო ფსიქოლოგიური მკურნალობა ეკუთვნით. ქვეყნის ჯანდაცვაში დააზუსტეს, რომ პერუში ჯერ კიდევ მოქმედებს დაავადებათა კლასიფიკაციის X ვერსია. მასში „ტრანსსექსუალიზმი და გენდერული დისფორია მიეკუთვნება ზრდასრულ ასაკში პიროვნებისა და ქცევის დარღვევების ბლოკს“. ახალი, XI ვერსია ჯანმომ 2019 წელს მიიღო, რომელშიც ტრანსგენდერობა აღწერილია, როგორც „შეუსაბამობა ადამიანის სქესსა და დაბადებისას მინიჭებულ სქესს შორის“ და ის არ განიხილება, როგორც ფსიქიკური აშლილობა.

ელისეის მინდვრებს გადაკეტავენ

Euro Weekly New წერს, რომ საფრანგეთის დედაქალაქი, ერთი დღით, უზარმაზარ საპიკნიკე მდელოდ გადაიქცევა. 26 მაისისთვის, ელისეის მინდვრებს საფეხმავლოდ გახდიან, რათა ათასობით ადამიანმა შეძლოს, ლანჩის დროს ტრიუმფალური თაღის ხედით ტკბობა. ამ მასობრივ პიკნიკში მონაწილეობა უფასო იქნება, ადამიანებს საკვებითა და სასმელით პარიზელი რესტორატორები გაუმასპინძლდებიან. ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ ელისეის მინდვრებზე, დაახლოებით, 3 700 ადამიანი შეიკრიბება. მათ წილისყრით შეარჩევენ...

ხმის ჩამხშობი ქსოვილი შექმნეს



ამერიკელმა სწავლულებმა, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან, აბრეშუმის ქსოვილი შექმნეს, რომელსაც ეფექტიანად შეუძლია ხმის ჩახშობა და გაფანტვა. მისგან წყნარი სივრცეებისთვის მსუბუქი ტიხრების დამზადება შეიძლება. ინფორმაციის თანახმად, მკვლევარებმა, პიეზოელექტრული ბოჭკოს დახმარებით, ორი ტექნიკა გამოიყენეს არასასურველი ხმის აღსაკვეთად. როცა გარე ხმა ქსოვილს ვიბრირებას აიძულებს, ბოჭკო ამ ვიბრაციებს ელექტროობად გარდაქმნის. ამის წყალობით, ხმის სიმაღლე მცირდება 65 დეციბელამდე, რაც შეესაბამება ცხარე საუბრების აკუსტიკას. ასევე, ბოჭკო შეიძლება უძრავად იყოს. ამ მდგომარეობაში ის, სარკის მსგავსად, უბრალოდ, აირეკლავს ხმებს და მის სიმაღლეს 75 დეციბელით ამცირებს. სწავლულთა თქმით, ხმის ჩახშობის პირველი ვარიანტი კარგად მუშაობს მცირე ფართებზე, მეორე კი უფრო დიდი სივრცეებისთვის გამოიყენება. მასალის სისქე, სულ რაღაც, 130 მიკრომეტრია, რაც ადამიანის თმის სისქის ტოლია.

სუფთა ჰაერიც მავნეა?

ამერიკელმა მკვლევარებმა, ნიუ-იორკის უნივერსიტეტიდან, აღმოაჩინეს, რომ ჰაერში გოგირდის დიოქსიდის კონცენტრაციის შემცირება ხელს უწყობს ლეგიონელეზს – საშიშ დაავადებას, რომელიც ხშირ შემთხვევაში მძიმე პნევმონიის განვითარებით მიმდინარეობს. კვლევაში აღნიშნულია, რომ აშშ-ში, 2000 წელს, 1 100 შემთხვევისა და 2018 წელს, ამ რაოდენობის 10 000-მდე ზრდის პირობებში, მოიმატა ლეგიონელოზის დარეგისტრირებულმა შემთხვევებმა. დაავადების ზრდის მიზეზის გასარკვევად, სპეციალისტებმა შეისწავლეს, როგორ შეიცვალა ქვეყანაში ეკოლოგიური მდგომარეობა. აღმოჩნდა, რომ დაავადების გავრცელებას, რაც უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, ხელი შეუწყო ჰაერის ხარისხის ზრდამ. სწავლულებმა გაარკვიეს, რომ ჰაერ-წვეთოვანი გზით გადამდები ლეგიონელოზის ბაქტერიები წყალში ცხოვრობენ და გოგირდის დიოქსიდს ჰაერიდან შთანთქავენ. ადამიანის მიერ ამ ბაქტერიების შემცველი ჰაერის შესუნთქვა ზრდის საშიში დაავადებით დაინფიცირების ალბათობას.

ველოსიპედით გადაადგილებისთვის ფულს გადაუხდიან



იტალიის ქალაქ ფლორენციის მცხოვრებლებს, ველოსიპედით გადაადგილებისთვის გარკვეულ თანხას გადაუხდიან. ამ აქციის მონაწილეებს თვეში, დაახლოებით, 30 ევროს გამომუშავება შეუძლიათ. ის მძღოლები, რომლებიც მანქანიდან ველოსიპედებზე გადასხდებიან, ქალაქში გავლილი ყოველი კილომეტრისთვის 20 ევროცენტს მიიღებენ. ისინი კი, რომლებიც უკვე მხოლოდ ამ ეკოლოგიური ტრანსპორტით გადაადგილდებიან, 15 ევროცენტს მიიღებენ. გავლილ კილომეტრებს ბლუთუზ-მოწყობილობებით გააკონტროლებენ, რომლებიც ინფორმაციას სპეციალური მობილური აპლიკაციის მეშვეობით მოაგროვებენ. იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ერთი კვირის განმავლობაში, საუკეთესო შედეგებს დააგროვებენ, ფულად პრიზებს გაათამაშებენ. ველოსიპედისტებს უფასოდ დაურიგებენ სასიგნალო ფანრებსა და საჭეზე სმარტფონის დასამაგრებლებს. აქცია ერთ წელიწადს გაგრძელდება და ორგანიზატორების ჩანაფიქრით, მან ადგილობრივებს ავტომანქანებზე უარი უნდა ათქმევინოს.

უსახლკაროებს სასმელს ურიგებენ

სან-ფრანცისკოს ხელისუფლებამ საპილოტე პროგრამა აამოქმედა, რომლის ფარგლებშიც, უსახლკაროებს უფასოდ დაურიგებენ არაყსა და ლუდს. ამან უხარისხო ალკოჰოლით მოწამვლის ფაქტები უნდა შეამციროს. ექსპერტები ამბობენ, რომ პროგრამა გადაარჩენს, ან სიცოცხლეს გაუხანგრძლივებს ალკოჰოლიკებს, თუმცა კრიტიკოსების თქმით, უკეთესი იქნებოდა, უფასო სასმელის დარიგების ნაცვლად, მათი მკუნალობის ხარჯები დაეფინანსებინათ. საპილოტე პროგრამისთვის ბიუჯეტიდან წელიწადში 5 მილიონი დოლარი გამოიყოფა. მედდები კლიენტებს პატარა სასტუმროს ნომერს, სამჯერად კვებასა და ალკოჰოლის საკმარის რაოდენობას სთავაზობენ.

სექს-მუშაკებს უარისთვის დასჯიან

Belgian Government Will Intervene In Cases Where Prostitutes Refuse Sexual Acts Too Often

Amy Hamm | May 12, 2024

ბელგიაში, სექს-მუშაკებისთვის „ისტორიული და რევოლუციური“ კანონი მიიღეს. ახლა მათი უფლებები და მოვალეობები შრომითი ხელშეკრულებით დარეგულირდება. ის ითვალისწინებს სამედიცინო დაზღვევას, პენსიას დამსახურების მიხედვით, ყოველწლიურ ანაზღაურებად შვებულებას, დეკრეტს, უმუშევრობის შემწეობასა და სხვა ხელშემწყობ ღონისძიებებს. „სუტენიორებმა“ ყოველი თანამშომელი საფრთხის მანიშნებელი ღილაკით უნდა აღჭურვოს და საშიშ სიტუაციაში დახმარება გამოუძახოს. გარდა ამისა, სექს-მუშაკებს ახლა აქვთ უფლება არა მხოლოდ არ იპოზიორონ ბორდელების ვიტრინებში, არამედ, უარი თქვან სექსზეც. თუმცა, ამ თავისუფლებით ბოროტად ვერ ისარგებლებენ. თუკი რომელიმე მათგანი, ნახევარი წლის განმავლობაში, სამსახურის გაწევაზე უარს ათზე მეტად იტყვის, „სუტენიორი“ სახელმწიფო შუამავალთან, შრომითი ხელშეკრულების დარღვევის ბრალდებით უჩივლებს. ეს ყველაფერი კი ჯარიმით, ან სხვა სახის სასჯელით დასრულდება.

აქლემებისთვის შუქნიშნები დააყენეს

ჩინეთის გუანსუს პროვინციის ხელისუფლებამ უდაბნოში აქლემებისთვის შუქნიშნები დააყენა, რათა ცხოველებისა და ადამიანების გადაადგილება დაარეგულირონ. მიზეზი ის არის, რომ ყოველწლიური დღესასწაულის დროს, რომელიც მაისში, სწორედ უდაბნო კუმტაგში და მინშის მთებში იმართება, იქ ათასობით ადამიანი მიდის. აქლემებით სეირნობა კი დღესასწაულის ერთ-ერთი მთავარი და საყვარელი გართობაა. ფესტივალში მონაწილეობის მსურველთა ჯგუფები და აქლემები კი საცობებს ქმნიან. შუქნიშნების დაყენებამ ეს პრობლემა მოაგვარა, რითაც ტურისტებიც კმაყოფილები დარჩნენ – ასეთი ეგზოტიკა არსად უნახავთ.

ფლირტის საუკეთესო ტექნიკა გამოავლინეს

ამერიკელმა და ნორვეგიელმა სპეციალისტებმა ყველაზე ეფექტიანი ფლირტის სხვადასხვა ტექნიკა გამოავლინეს. ფსიქოლოგებმა საამისოდ აშშ-სა და ნორვეგიაში მცხოვრები ჰეტეროსექსუალი სტუდენტები შეისწავლეს. მათ შეავსეს კითხვარი იმის შესაფასებლად, 40 ტექნიკიდან, რომელია ყველაზე ეფექტური, როგორც ხანგრძლივი, ასევე ხანმოკლე ურთიერთობების წამოსაწყებად. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქალებისთვის, რომელთაც ხანმოკლე ურთიერთობა სურთ, ყველაზე „მომგებიანი“ სექსუალური იმპულსების გამოყენებაა. რაც შეეხება კაცებს, მათთვის ფიზიკურ კონტაქტთან ერთად, ღიმილი, საუბრისას ინტერესის გამოჩენა, კომპლიმენტების თქმა და პოტენციური პარტნიორის გაცინება ყველაზე მეტად გამართლებულია, ხანგრძლივ პერსპექტივაში კი – კეთილშობილებისა და ურთიერთობებისთვის მზაობის გამოვლენა. თუმცა, არსებობს კიდევ ერთი ტექნიკა, რომელიც, გარკვეულწილად, უნივერსალურია და ეს იუმორია. აღმოჩნდა, რომ ორივე სქესისთვის კარგი იუმორი მიზნის მიღწევის, ინტერესის აღძვრის საუკეთესო საშუალებაა.

ყველაზე პროდუქტიული დღე ორშაბათია

საყოველთაოდ მიღებული მოსაზრების მიუხედავად, ექსპერტები აცხადებენ, რომ კვირის ყველაზე პროდუქტიულ დღედ ორშაბათი უნდა მივიჩნიოთ. როგორც ცნობილია, ბევრს არ უყვარს ეს დღე, მაგრამ მკვლევარებმა დაამტკიცეს, რომ სწორედ ორშაბათობით არის ადამიანი მაქსიმალურად შრომისუნარიანი. საინტერესოა, რომ ამ კვლევაზე შეკვეთა „მაიკროსოფტისგან“ შევიდა და ის ბრიტანელმა სწავლულებმა განახორციელეს. კვლევამ აჩვენა, რომ სხვა დღეებთან შედარებით, განსაკუთრებით მობილიზებილი და პროდუქტიული ადამიანისთვის მძიმე ორშაბათია. შაბათ-კვირის დასვენების შემდეგ, დილის ათ საათზე ორგანიზმი განსაკუთრებით ძლიერია და მზად არის ნებისმიერი საქმის შესასრულებლად. თუმცა, კონცენტრაციის ასეთ მაღალ დონეს დიდხანს ვერ ინარჩუნებს და უკვე მომდევნო დღეს ის უკვე დაქვეითებულია. ასე რომ, ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი საქმეების განხორციელება ადამიანმა, სჯობს, ორშაბათს დაიწყოს.

მსახიობმა მშობლიური სკოლა იყიდა და... დაანგრია

ცნობილმა თურქმა მსახიობმა თავისი მშობლიური სკოლის შენობა იყიდა და მასწავლებლებზე შურის საძიებლად, დაანგრია. ჩაღლარ ერთუგრულმა რამდენიმე დღის წინ, „ინსტაგრამის“ საკუთარ გვერდზე ნანგრევების ფოტო გამოაქვეყნა და დაწერა: „დაწყებით კლასებში, ჩემი მასწავლებლები ყოველთვის მცემდნენ. ამის გამო, მე ვიყიდე სკოლის შენობა და დავანგრიე. დაე, ის ასეთ მდგომარეობაში დარჩეს, რადგან ჩემი ბავშვობისდროინდელი ტრავმები გამწვავებულია“. ფოტოები უმალ გავრცელდა სოციალურ ქსელებში. მომხმარებელთა ნაწილმა მოუწონა მას საქციელი, ზოგმა მსახიობს მხარი დაუჭირა. ჩაღლარ ერთურგული პოპულარული მსახიობი და „ოქროს პეპელას“ არაერთი პრიზის მფლობელია.

კაფედან სამუშაოს დასრულებამდე არ უშვებენ

ამომავალი მზის ქვეყანაში, კაფე Manuscript Writing Cafe მუშაობს, რომლის თანამშრომლებსაც ფულს უხდიან, რათა სამუშაოს დასასრულებლად, მათზე მაქსიმალური ზეწოლა მოახდინონ. დაწესებულება ტოკიოში მდებარეობს და მას ყოველდღიურად სტუმრობენ მხატვრები, მწერლები, რედაქტორები და სხვა ადამიანები, რომელთაც დაწყებული სამუშაოს დასრულება სურთ. კაფეს თანამშრომლები სტუმრებს ყავითა და ჩაით ამარაგებენ და თან აკონტროლებენ, რომ დავალების დაუსრულებლად, არავინ დატოვოს იქაურობა. დაწესებულების სტუმრები, ყოველი მისვლისას, ვალდებულები არიან, დღის გეგმა და მთავარი მიზანი დასახონ. ამ ყველაფერს კაფეს თანამშრომლები ინიშნავენ და რეგულარულად აკონტროლებენ. სტუმარმა თავად უნდა შეარჩიოს, როგორი კონტროლი სურს – რბილი, საშუალო, თუ მკაცრი. პირველის დროს, სტუმარს დღის ბოლოს ეკითხებიან, შეასრულა თუ არა სამუშაო. საშუალო კონტროლისას – ყოველ საათში ერთხელ ამოწმებენ, მკაცრი კონტროლის არჩევისას კი, კლიენტს თანამშრომლები მთელი დღის განმავლობაში დაადგებიან თავზე და მუშაობას მუდმივად გაუკონტროლებენ. მთავარი წესის მიხედვით, დავალების დასრულებამდე, კაფე არავინ უნდა დატოვოს. წესის დამრღვევის სახელი დაფაზე იწერება და მას ყველა ნახავს. კაფეში ნახევარი საათით გაჩერება ერთი დოლარი ღირს, ყოველი დამატებითი საათი კი 2.34 დოლარი ჯდება. ეს კიდევ ერთი დამატებითი მოტივაციაა, რომ ადამიანმა დასახული საქმე მალე დაასრულოს.

დღეგრძელობის მიზეზი დაადგინეს

შვედმა მეცნიერებმა დაასრულეს კვლევაზე მუშაობა, რომელიც 50 წელიწადზე მეტხანს გრძელდებოდა. სწავლულები იმ 855 ადამიანის ცხოვრების წესსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას აკვირდებოდნენ, რომლებიც გეტებორგში, 1913 წელს დაიბადნენ. სამუშაოს დასრულების შემდეგ, მკვლევარებმა რამდენიმე რეკომენდაცია მოამზადეს მათთვის, რომლებსაც სურთ, გაიმეორონ ექსპერიმენტის მონაწილეების მიღწევა და 100 წლამდე და მეტიც იცოცხლონ. სწავლულები ამტკიცებენ, რომ ყველაზე მეტად სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მოქმედებს ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 50 წლის ასაკში (თუ ამ დროისთვის ხერხდება ცხოვრების კარგი პირობების შექმნა, ეს მნიშვნელოვნად ზრდის სიცოცხლის წლებს), გენეტიკური მიდრეკილება დღეგრძელობისკენ დედის მხრიდან, სისხლში ქოლესტერინის ნორმალური დონე და ასევე მოწევაზე უარის თქმა. ვისაც დიდხანს სიცოცხლე სურს, მეცნიერები ურჩევენ, დღეში, ოთხ ფინჯანზე მეტი ყავა არ დალიონ.

ყველი ქოლესტერინს არეგულირებს

ჯანმრთელობის ამერიკული აკადემიის სპეციალისტები აცხადებენ, რომ ყველს ადამიანის ორგანიზმისთვის საკმაოდ ბევრი სასარგებლო თვისება აქვს. მათი მონაცემებით, ეს პროდუქტი საშუალებას იძლევა, სისხლში ქოლესტერინის დონე ვაკონტროლოთ. გარდა ამისა, ყველი დიდი რაოდნეობით სასარგებლო ცხიმებს შეიცავს. სწავლულებმა რამდენიმე ექსპერიმენტი ჩაატარეს იმის გასარკვევად, როგორ მოქმედებს ყველის მოხმარება ორგანიზმზე. კვლევაში, დაახლოებით, 150 მოხალისე მონაწილეობდა. მათ ნახევარს, ყოველდღიურად, 100 გრამ ამ პროდუქტს აძლევდნენ, მეორე ჯგუფს კი, ორი თვის განმავლობაში, საერთოდ აუკრძალეს რძის ნაწარმი. აღმოჩნდა, რომ ის მოხალისეები, რომლებიც ყველს მიირთმევდნენ, გაცილებით უფრო მხნედ და უკეთ გრძნობდნენ თავს. მეტიც, მათ სისხლში ქოლესტერინის მაჩვენებელიც მნიშვნელოვნად გაუუმჯობესდათ.

გასახდომად მზეს ეფიცხებიან

მზით დატკბობა – უცნაური ტენდენციაა წონაში დასაკლებად, რომელსაც ჰონგ-კონგელი მანდილოსნები აქტიურად იყენებენ. ისინი დგანან და მზეს უყურებენ იმ იმედით, რომ ზედმეტ კილოგრამებს ასეთი ჯადოსნური მეთოდით მოიშორებენ. თერაპია, რომელიც სავარაუდოდ, ევროპული წარმოშობისაა, იმაში მდგომარეობს, რომ საკმაო მზის ენერგია უნდა მიიღონ, რაც მათ რეალურ საკვებს, კალორიებს შეუცვლის. გოგონები, რომელთაც ეს უცნაური დიეტა აირჩიეს, იმედოვნებენ, რომ თუ მზეს დიდხანს უყურებენ, ადვილად გამოტოვებენ მორიგი საკვების მიღებას. ისინი დილას ან მზის ჩასვლისას გადიან პლაჟზე, იხდიან ფეხზე, ტელეფონზე აყენებენ დროს, იკეთებენ მზის სათვალეს და პირდაპირ მზეს აშტერდებიან. ზოგიერთი იმასაც ამტკიცებს, რომ ეს თერაპია არა მხოლოდ ახდუნებს, არამედ, ზოგადად, ჯანმრთელობისთვის არის სასარგებლო.

„მარიხუანა“ გენეტიკურ კოდს ცვლის

კანაბისის მთავარ ფსიქოაქტიურ კომპონენტს, ტეტრაჰიდროკანაბინოლს შეუძლია სპერმა შეცვალოს. ეს სპეციალისტების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა. „მარიხუანას“ მოხმარება გენების ექსპრესიაზე ახდენს გავლენას და იწვევს დნმ-ში სტრუქტურულ და რეგულაციურ ცვლილებებს. ასევე, კვლევებმა აჩვენა, რომ რაც უფრო მაღალია ტეტრაჰიდროკანაბინოლის კონცენტრაცია მამაკაცის შარდში, მით უფრო მეტად არის გამოხატული ცვლილებები სპერმაში. ასე რომ, „მარიხუანას“ მოხმარება მამაკაცის რეპროდუქტიული ჯანმრთელობისთვის „ნულოვანი“ სულაც არ არის. მკვლევარებისთვის ჯერჯერობით უცნობია, რა გავლენას ახდენს ასეთი ცვლილელები ბავშვზე და არც ის არის ცნობილი, შეუძლია თუ არა ასეთ სპერმას კვერცხუჯრედის განაყოფიერება.

ნაყინი ყველა კერძში

აპენინებზე, მარადიულ ქალაქში ახალი რესტორანი Il Gelato D'Essai და Geppy Sferra გაიხსნა, სადაც იმედოვნებენ, რომ ყველასათვის საყვარელი ნაყინი მხოლოდ ტკბილი დესერტი არ იქნება და ის კერძების მნიშვნელოვანი ინგრედიენტი გახდება. ამ დაწესებულების მენიუს ყველა კერძში არის ნაყინი, ზოგიერთი კომბინაცია კი მართლაც გასაოცარია. მაგალითად, ქათმის კარი ქოქოსის ნაყინით, ტკბილ-მჟავე ღორის ხორცი ანანასის სორბეტით, ყაბაყის სპაგეტი პიტნით, ლიმონით, მოხალული ნუშით, რიკოტათი და ნაყინით. საიდუმლო არავისთვისაა, რომ ამ ცივ დესერტს იტალიელები აღმერთებენ – სტატისტიკური მონაცემებით, ერთი ადამიანი, წლის განმავლობაში, დაახლოებით, 6 კილოგრამ ყელის ჩასაკოკლოზინებელს მიირთმევს.

ხის ცათამბჯენს ააშენებენ

შვეიცარიაში, ქალაქ ვინტერტურში, ხის ცათამბჯენს – Rocket&Tigerli-ს ააშენებენ. ის მსოფლიოში ხის ყველაზე მაღალი შენობა იქნება. შენობა ოთხ, სხვადასხვა სიმაღლის კორპუსს მოიცავს, ერთ-ერთი მათგანის სიმაღლე 100 მეტრი იქნება. ამჟამად, ყველაზე მაღალი ხის შენობა ნორვეგიაში მდებარე მიოსტორნეტის კოშკია, რომლის სიმაღლეც 85.4 მეტრია. ახალ, შვეიცარიულ პროექტზე დანიური ბიურო Schmidt Hammer Lassen-დან მუშაობენ არქიტექტორები ადგილობრივ სპეციალისტებთან ერთად. ვარაუდობენ, რომ ხის ცათამბჯენი 2028 წლისთვის აშენდება. ის ყოფილი სარკინიგზო ქარხნის ადგილას განთავსდება და მოიცავს საცხოვრებელ სივრცეს, სტუდენტურ საერთო საცხოვრებელს, რესტორანსა და ბარს, სავაჭრო ფართებსა და სასტუმროს.

ბედნიერი პროფესიებიც გამოავლინეს

ბრიტანელმა მეცნიერებმა, ზიანის მომტანი თუ უჩვეულო პროფესიების რეიტინგის შედგენის შემდეგ, გადაწყვიტეს, ბედნიერი პროფესიებიც გამოევლინათ. მათ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ჩაატარეს და გაარკვიეს, რომ ყველაზე ბედნიერ პროფესიებიად, ნისლიან ალბიონზე, პარიკმახერობა და კოსმეტოლოგობა ითვლება. სიაში ბოლო ადგილები მშენებლებმა და ბანკის თანამშრომლებმა დაიკავეს, რადგან ისინი სხვებზე მეტად ყოფილან უკმაყოფილოები საკუთარი სამსახურით. გამოკითხულთა 50% თავის სამუშაოს კარგი ანაზღაურების გამო აფასებს, სხვებისთვის კი ბედნიერი პროფესიის მთავარი პირობა კოლეგებთან მეგობრული ურთიერთობა და ხელმღვანეოლობის მხრიდან ყურადღება ყოფილა. ყველაზე ბედნიერი პროფესიების ტოპ-ათეული კი ასე გამოიყურება: კოსმეტოლოგი, პარიკმახერი, შეფ-მზარეული, მასწავლებელი, მარკეტოლოგი/პიარ-მენეჯერი, ბუღალტერი, მდივანი, არქიტექტორი, ჟურნალისტი, ავტომექანიკოსი.

მწეველებს პომიდვრის ჭამას ურჩევენ

ეს ბაღჩეული კულტურა ისევე, როგორც ტკბილი წიწაკა, კარტოფილი და ბადრიჯანი, მდიდარია ნიკოტინის მჟავით. თუ ადამიანის ორგანიზმი საკმარისი რაოდენობით იღებს ამ ნივთიერებას, შესაბამისად, სიგარეტისადმი მოთხოვნაც ნაკლებად უჩნდება. ასე რომ, თუკი მოწევისთვის თავის დანებება გინდათ, შეგიძლიათ, ზემოთ ჩამოთვლილი ბოსტნეული ხშირად მიირთვათ, განსაკუთრებით, პომიდორი. ის მდიდარია ასევე ლიკოპინით – ანტიოქსიდანტით, რაც მას წითელ ფერს ანიჭებს. კვლევებით ცნობილია, რომ ეს ნივთიერება აქტიურად ზემოქმედებს სიმსივნურ უჯრედებზე და მათ ზრდას ანელებს. ის ზრდის ასევე ფერტილობის მაჩვენებელს მამაკაცებში. ასევე იცავს გულის დაავადებებისგან, სახის კანს – დაბერებისგან, თანაც პომიდორი დიეტური, დაბალკალორიული პროდუქტია და ის შეგიძლიათ თამამად მიირთვათ.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.